

412  
1954



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# დროშა

№ 5 მაისი 1954





НАЦІОНАЛЬНА  
БІБЛІОТЕКА

# ГІМН БРАТЕРСТВУ

## ДОМОДИНСЬКОГО

Музика А. КОЛОДІСЬКОГО

Слова Д. БОГДАНА

1. В дружбі єди-на на-ша ро-ди-на віль-на, вели-ка, ра-дян-ська сім'я  
 в творчій тру-ді  
 Гор-до лю-ди-ни під-но-сить ім'я  
 зоб-ли-чає-ть  
 Слав-ся, го-вля-чи  
 про-тя-гом  
 скріп-ле-на кров'ю  
 в жор-сто-ких бо-ях  
 Майте вгорі, світлі зна-ме-на,  
 до комунізму показу-йте шлях!

В дружбі цїте наша родина,  
 Вільна, велика, радянська сім'я,  
 В творчій труді завжди єдина,  
 Гордо людини підносить ім'я.

**ПРИСПІВ:**

Слався довічна дружба священна,  
 Скриплена кров'ю в жорстоких боях,  
 Майте вгорі, світлі знамена,  
 До комунізму показуйте шлях!

Квітне любов з роду до роду,  
 Не зупинити дзвінків наших рік!

Слався в віках, воле народу,  
 Слово Богдана прослався повік!

**ПРИСПІВ:**


Троє сторіч нас побратало,  
 Сяє безсмертя в майбутньому нам,  
 В битвах за мир меч і орало  
 Служать незрадно трудящим рукам.

**ПРИСПІВ:**

Світу маяк наша держава,  
 Світові приклад радянські діла,  
 Братським серцям шана і слава,  
 Партії слава, народам хвала!

**ПРИСПІВ:**

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალ-სამხარეთო ქუჩის რევოლუციური კომიტეტი



ნიკიტა ხრუშჩოვი (დაბადებიდან 60 წლისთვის გამო)

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისათვის სოსილისვარი შრომის გვირის წოდების მინიჭების შესახებ


საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე თვალსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად მიენიჭოს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს სოსილისვარი შრომის გვირის წოდება და გადაეცეს მას ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროვილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. კვზოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წლის 16 აპრილი

პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია ქ. თბილისში რუსთაველის პროსპექტზე 1954 წლის 1 მაისს. მთავრობის ტრიბუნაზე (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხანაგები თ. ჯანელიძე, ე. სენიაშვილი, მ. ლელაშვილი, მ. კუჭავა, თ. გოცირიძე, გ. ჯავახიშვილი, ა. ანტონოვი, ვ. მკვანაძე, მ. გიორგაძე, ა. ინაური, დ. მჭედლიშვილი. ფოტო ვ. გინზბურგისა და მ. კვირიკაშვილისა



# ორი მოქმედი რისკუბლიკის მეხნეირთა შამოქმედებითი თანამშრომლობა

## აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ახლა, როდესაც მთელი ჩვენი მრავალეროვნადი სამშობლო საერთო-სახალხო ზეიმით აღნიშნავს დიდი ისტორიული მოვლენის — რუსეთთან უკრაინის შეერთების სამასი წლისთავს, ყოველი საბჭოთა ადამიანი უფრო მძაფრად განიცდის ძველამოსილი სოციალისტური ქვეყნის თავისუფალ, ბედნიერ ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის დიდ, ცხოველმყოფელ ძალას. ურდევ, საუკუნო მეგობრობით შედარებულ ჩვენი სოციალისტურ ერებს ლენინსა და სასრუნავი საერთო აქვთ და განუყოფელი. ეს მეგობრობა თვით თვლილი მოკავშირე რესპუბლიკის აყვანა-აღორძინების დაუსრულებელი წყაროა, საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და უძლეველობის აუღებელი ციხე-სიმაკრე.

საბჭოთა უკრაინისა და საბჭოთა საქართველოს ხალხები ერთმანეთთან გადაკავებული არიან მჭიდრო და ძვირი მეგობრობით, რომელსაც ვესვები ღრმად აქვს გადგმული წარსულში.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ უკრაინელ და ქართველ ხალხებს, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა დანარჩენ ხალხს, წინ გადაუშალა მეგობრული კავშირის უსაზღვრო შესაძლებლობანი. უკრაინისა და საქართველოს მშრომლები ფართოდ სარგებლობენ ამ შესაძლებლობებით და სულ უფრო განამტკიცებენ და აღრმავებენ ურთიერთ მშობას.

ამ მხრივ ვალში არა რჩებიან უკრაინელი და ქართველი მეცნიერებიც, რომელთა განუწყვეტელი მზარდი შემოქმედებითი კავშირი ხელს უწყობს ორი მომხმ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას.

თანდათან უფრო ფართოდ ჩაღვრება თანამშრომლობა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის უკრაინელ და ქართველ წარმომადგენლებს შორის, რომლებიც დიდი ინტერესით ეკიდებიან უკრაინისა და საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ისტორიის შესწავლას. საქმიანი მეგობრული კონტაქტი აქვთ ერთმანეთთან შეჩვენების სახელობის უკრაინული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტსა და რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს. უკრაინისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების ენათმეცნიერების ინსტიტუტების თანამშრომლები ერთობლივი ძალით ამუშავებენ ლინგვისტიკის მნიშვნელოვან პრობლემებს.

განუწყვეტელი ძლიერდება შემოქმედებითი თანამეგობრობა უკრაინელ და ქართველ მათემატიკოსთა შორის. ხსენებული აკადემიების მათემატიკის ინსტიტუტები სისტემატურად უზიარებენ ერთმანეთს სამეცნიერო მუშაობის გამოცდობებს. უკრაინელი მეცნიერები არა ერთხელ გამოსულან მოხსენიებით ჩვენი ინსტიტუტის სამეცნიერო სესიებზე. თავის მხრივ, ამ ინსტიტუტის თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას აღებულობენ უკრაინის აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში.

მეგობრული ურთიერთობა და მყარებული საქართველოს აკადემიის გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტსა და უკრაინის აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტს შორის. ისინი ყოველწლიურად აწვდიან ერთმანეთს ცნობებს ჩატარებულ სამეცნიერო სამუშაოთა შესახებ და უწყვენ სხვადასხვა სახის დანართებს. სრულიად უკრაინის მინერალოგიური კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა რამდენიმე ქართველი გეოლოგი, რომელთა შრომები იბეჭდება უკრაინულ სამეცნიერო კრებულში. ინსტიტუტი საქმიანი კავშირის აბამს აგრეთვე უკრაინის მრეწველობასთან. მაგალითად, გასული წლის დეკემბერში ინსტიტუტმა შეასრულა სპეციალური სამუშაო ტრესტ „არტიმუჟოლის“

მიერ გამოგზავნილ ქანების ნიმუშთა შესასწავლად.

ქიმიის პირველი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის შექმნა საქართველოში დაკავშირებულია გამოჩენილი მეცნიერის აკადემიკოს ლ. ბისარევსკის სახელთან. 1929 წელს აკად. ბისარევსკი უკრაინის ქალაქ დნეპროპეტროვსკიდან სამუშაოდ მოწვეულ იქნა თბილისში, სადაც მან მალე შემოვიდა თავისი მოწაფეები — უკრაინის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტის თვალსაჩინო მეცნიერი თანამშრომლები — და ჩამოაყალიბა ქიმიის ინსტიტუტი, რომელსაც ბისარევსკისავე წინადადებით ეწოდა მისი საყვარელი მასწავლებლის, დიდი ქართველი ქიმიკოსის პ. მელიქიშვილის სახელი. ამჟამად ეს ინსტიტუტი ჩვენი აკადემიის სისტემატა გაერთიანებული და ერთ-ერთ წამყვან სამეცნიერო ინსტიტუტად ითვლება რესპუბლიკაში.

უკრაინელი და ქართველი ასტრონომები მეგობრულად ეხმარებიან ერთმანეთს ასტრონომიის მნიშვნელოვან პრობლემების დამუშავებაში. უკრაინის აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ნ. ბარაბაშვილი სისტემატურად უწყებს კონსულტაციას საქართველოს აკადემიის აბასთუმის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერ თანამშრომლებს, რომლებიც ელექტრობოლომეტრიის მეთოდით იკვლევენ მთვარის ზედაპირის აგებულებას. კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიული ობსერვატორია ხშირად სარგებლობს აბასთუმის ობსერვატორიის მიერ ჩატარებულ დაკვირვებათა მონაცემებით, ხოლო უკანასკნელი იყენებს ოდესის ობსერვატორიის მონაცემებს.

ჩვენი აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი მტკიცედა დაკავშირებული უკრაინის მთელ რიგ სამრეწველო და სამეცნიერო ორგანიზაციებთან. კრამატორსკის მეტალურგიული ქარხნისა და „აზოტსტალის“ მარტინების მუშაობა და სპეციალისტებთან თანამეგობრობით ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა წარმატებით ჩატარეს საწარმოო ცდები და მიღწეული დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის შედეგებს. წლითი წლობით ძლიერდება ხსენებული ინსტიტუტის შემოქმედებითი კავშირი უკრაინის შავი მეტალურგიის, დნეპროპეტროვსკის მეტალურგიულ, უკრაინის აკადემიის სამთო საქმისა და კიევის პოლიტექნიკურ ინსტიტუტებთან.

მეგობრული ურთიერთობა და მყარდება უკრაინის მშენებლებსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტის კოლექტივს შორის. ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა წარმატებით შეისწავლეს უკრაინის მშენებლობათა მიდამოებში

ფენებდა განლაგებული ნიჟარული ქანებისა და კირქვების გამოყენების საკითხი და მიიღეს დიდი პრაქტიკული ღირებულების მქონე შედეგები, რომელთა საწარმოო დანერგვა შესაძლებელს ხდის თავიდან იქნეს აშორებული საშენი ქვის შორი მანძილიდან მიზიდვა. მიმდინარე წელს უკრაინაში დიდი სამუშაოებია დასახული ბეტონისა და რკინაბეტონის ნაგებობათა მშენებლობაში კირქვებისა და ნიჟარული ქანების გამოყენების მხრივ და ინსტიტუტს განზრახული აქვს კვლევა მიაგონოს იქ თავისი მეცნიერი თანამშრომლები მშენებელთათვის დახმარების გასაწევად.

განუწყვეტელ საქმიანი კავშირი არიან უკრაინის სამეცნიერო დაწესებულებებთან საქართველოს აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების რიგი ინსტიტუტები. განვენახობა-მეღვინეობის ჩვენს ინსტიტუტს მჭიდროდ შემოქმედებითი თანამეგობრობა აქვს უკრაინის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტსა და სცდელ სადგურთან, ოდესის სრულიად საკუთრივ საფილოქსიონო სადგურთან, ოდესისავე სპეციალურ საკონსტრუქტორ ბიუროსთან და სხვ. სისტემატურად წარმოებს მუშაობის გამოცდობებისა და სამეცნიერო მიღწევათა ურთიერთ გაზიარება. ჩვენი ინსტიტუტი დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობს უკრაინის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა საკოლექციო ნაკვეთების აღდგენა-გაფართოებაში.

საქართველოს აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტს უშუალო კავშირი აქვს აგრეთვე უკრაინის სსრ ჩერკასკის რაიონის კოლმეურნეობებთან. ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა გულდასმით შეისწავლეს მევენახეობის მდგომარეობა ამ რაიონში და დასახეს რაიონის კოლმეურნეობებში ვაზის კულტურის განვითარების ძირითადი ღონისძიებანი. ამის შემდეგ ჩერკასკელი კოლმეურნეები თვითონაც უწყვიტეს ჩვენი ინსტიტუტს, მონახულეს ინსტიტუტის სცდელი ნაკვეთები, აგრეთვე თელავის რაიონის კოლმეურნეობათა ზეარ-ვენახეები. ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა დახმარებით ისინი დაწვრილებით გაეცნენ მევენახეობა-მეღვინეობის მარგში საბჭოთა საქართველოს მიერ მოპოვებულ წარმატებებს.

უკრაინელ და ქართველ მეცნიერ ბოტანიკოსთა თანამშრომლობას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. მას საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის 90-იან წლებში. ჩვენი აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის ჩამოყალიბება-განვითარებაში წარუშლელი კვალი დატოვა უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის აწ განსვენებულმა ვიცე-პრეზიდენტმა პროფ.

კ ი ე ვ ი. რუსეთთან უკრაინის შეერთების 800 წლისთავსადმი მიძღვნილ უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სესიაზე.

ფოტოზე: უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ა. პალადინი (მარჯვნიდან მეორე) და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი სესიის მონაწილეთა შორის.



სორმა ა. ფომინმა, უკრაინისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების ბოტანიკის ინსტიტუტებში სულ უფრო ავითარებენ თავიანთ ტრადიციულ თანამეგობრობას, ქმარებენ ერთმანეთს შემოქმედებით წინსვლაში.

წლითი წლობით ფართოვდება და ღრმავდება ჩვენი აკადემიის ბიოლოგიურ და სამედიცინო მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტების საქმიანი კავშირი უკრაინის სათანადო სამეცნიერო დაწესებულებებთან. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტს მუდმივი სამეცნიერო კონტაქტი აქვს დამყარებული უკრაინის რამდენიმე ინსტიტუტთან. გასული წლის ზაფხულზე კიევიში მოეწყო ექსპერიმენტული და კლინიკური კარდიოლოგიის ჩვენი ინსტიტუტის გამსვლელი სესია, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მონაწილეობით. სესიამ, რომელიც მიძღვნა ბიპრტრეინულ დაავადებათა პრობლემების მნიშვნელოვან საკითხებს, უკრაინელ მეცნიერთა და აგრეთვე მედიცინის მუშაკთა შორის ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

უკრაინისა და საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებანი მჭიდროდ თანამშრომლობენ და გამუდმებით ეხმარებიან ერთმანეთს სხვადასხვა დარგის მაღალკვალიფიციური მეცნიერული კადრების მომზადებაშიც. ასე, მაგალითად, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ახლადღმადმაცე-პრეზიდენტმა, მექანიკის დარგის გამოჩენილმა სპეციალისტმა ვ. სავინმა თავის დროზე დალოტორი დისერტაცია დაიცვა თბილისის მათემატიკურ ინსტიტუტში. მისი სადისერტაციო შრომა მჭიდროდ უკავშირდებოდა იმ საკითხებს, რომლებიც დამუშავებული იყო ჩვენს მათემატიკის ინსტიტუტში. ამას წინათ ჩვენი აკადემიის პალიფიზიოლოგიის სექტორის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ლ. ვაბუნიაშვილმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომელი მნიშვნელოვანი მნიშვნელობისა და საინტერესოა უკრაინის მუშელებში. დაცული მასალების შესწავლისადმი, სადისერტაციო შრომაზე მუშაობის დროს მას დიდი დახმარება უწყვედნენ გეოლოგიისა და პალიფიზიოლოგიის დარგის ცნობილი უკრაინელი მეცნიერები. ლითონისა და სამთო საქმის ჩვენი ინსტიტუტის სამთო განყოფილების გამგე ა. ძიძიგური სადოქტორო დისერტაციას ამუშავებს უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ვ. პაის ხელმძღვანელობით.

მრავალრიცხოვანი მაგალითები უკრაინისა და საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებათა შემოქმედებითი თანამშრომლობისა.

ჩვენი სამშობლოს თავისუფალი ერები, რომლებიც შესხატებილებულად ცხოვრობენ თანასწორუფლებიან ხალხთა სოციალისტურ ოჯახში, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობისა და ძვირი ურთიერთ დახმარების მოხებით განუხრელად მიდიან წინ ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის გზით და არანხელ წარმატებებს აღწევენ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფასდაუდებელი დახმარება, რასაც თვითულ მოკავშირე ნაციონალურ რესპუბლიკას უწყევდა და უწყევს დიდი რუსი ხალხი, რომელსაც სამი საუკუნის წინათ საზოლოლო და სამუდამო დაუკავშირა თავისი მომავალი უკრაინელმა ხალხმა.

მშობლობიანი შემოქმედებითი შრომის ფერხულში ჩაბმული საბჭოთა ადამიანები რუსეთთან უკრაინის შეერთების სახელოვანი 300 წლისთავის დღესასწაულს აღნიშნავენ ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურდევ, საუკუნო მეგობრობის შემდგომი განმტკიცებით, რაც ჩვენი ჩვეყანაში კომუნისტების წარმატებით მშენებლობის საიმედო საწინადარია.

# მზე, ქარი, დროშის ტყეები

მზე, ქარი, დროშის ტყეები,  
წაბლის ყვავილთა ფთილები,  
კარჭაბთა გრძელი ჩრდილები  
ლივლივებს დნებრის წყალში...  
მზის და ყვავილის ხეავია,  
ირგვლივ წაბლები ჰყვავიან,  
გააქვს გრიალი მოედნებს  
და არ ილღება მარში.


გააქვს გრიალი მოედნებს,  
მძვინვარებს დღესასწაული;  
ვაშა, სიმღერა, ხმაური,  
ერთურთს ესვრიან იებს...  
ვადიდოთ ძმობა ხალხების!  
გახსენით ყველა ბალები!  
კიევი — მარად ჩვენია!  
ვერვინ წაგვართმევს კიევს!

გახედე, მუქლურჯ ტრამალებს —  
იქ წვანან შავი პოლკები;  
ჩვენი მერნების ფლოქებებით  
გადაჯვავილი წვანან.  
იქ შლიახტიჩიც გარბოდა,  
ბურში დამალვას ლამობდა, —  
სამარედ ექცა დამპყრობელს  
უკრაინული ყანა!

გახედე მუქლურჯ ტრამალებს,  
გახედე ძმთა სამარეს,  
გახედე მშობელ ქვეყანას,  
აწმყოს, წარსულს და მყობადს...  
ეს მზე, ეს მიწა გვავალვებს,  
ძმთა სამარე გვავალვებს,  
გჭედოთ სამშობლოს დიდება,  
გჭედოთ ხალხების ძმობა!

მზე, ქარი, დროშის ტყეები,  
ირგვლივ წაბლები ჰყვავიან,  
მზის და ყვავილის ხეავია,  
ერთურთს ესვრიან იებს...  
ვადიდოთ ძმობა ხალხების!  
გახსენით ყველა ბალები —  
კიევი — მარად ჩვენია!  
ვერვინ წაგვართმევს კიევს!

თარგმნა  
**მურმან ლეზანიძე**



# მაქსიმ რილსკი ბოგდანის ქეგლი

დნებრის ნაპირას, საღ მოედანის  
ხმაურს ზვირთების შრიალი ერთვის  
შორს — ამაყად დგას ქეგლი ბოგდანის,  
მას მტკიცე ხელში უჭირავს კვერთხი.

აქ ცოცხლდებიან გარდასულ დღეთა  
ლანდნი უკვდავნი, გუშაგნი ერის:  
აქ თმაჭალარა სოფიას ხედავ,  
აქვე დნებრთან დგას თვით ვლადიმერი.

და ვიპყრობს ფიქრი დაუსაბამო,  
უკვდავების მზით განათებული.  
გრძნობ რომ ძარღვებში გიჩქევს საამო  
წინაპართ სისხლი ცეცხლით გზნებული.

ხედავ გარდასულ დღეთა დიდებას  
ვერ მოჰკლავს ყამის რისხვა და გესლი.  
აქ სვიატოსლავ წარმოგიდგება  
და პაჭანიკნი უმსუნაგენნი.

ვერაგი ბათოს ცხენთა თქარუნიც  
თითქოს გაისმის მთადა და ბარად  
კაზაკი — გმირი ლეგენდარული,  
ცეცხლში ნაწერთობი — აქ იბრძვის მარად.

წარსული ყამო, შენ არ ხარ მტვერი,  
ყალბ მოჩვენების უსახო ჯვარი,  
დეგვირ დანილას მიტომ უმღერის  
უკვდავების ჰიმნს აქ მგოსნის ქნარი.

და როცა წარსულ ომებს ვიგონებთ  
დღევანდელ ცეცხლის გუგუნით,  
ჩვენ ბოგდანს ვუძღვნით ქების სტრიქონებს,  
გმირობას მისას — ვადიდებთ გულით.

შეადლუბა, მან შეაერთა  
დნებრის ორივე ნაპირი მაშინ,  
როცა ურდონი უამრავ მტერთა  
ლამობდნენ პარაშს ჩვენს ქვეყანაში.

## პედერ ხუჯანგაი

ჩუვაშეთის სახალხო პოეტი



ქართული  
ლიტერატურა

ერს ააშორა მონის უღელი,  
განადგურება გულშემზარველი,  
ის კვერთხით ხელში, მხნე, ქედუხრელი; —  
იყო მშობლიურ ხალხის მფარველი.

გრძნობდა — ქვეყანა მუხანათ მტერთა  
ქედმობრილ მონად რომ არ გადიქცეს,  
საჭირო არის მოძმე რუს ერთან  
სამარადისო კავშირი მტკიცე.  
რომ ჩვენ ძმები ვართ, გზა გვაქვს საერთო,  
და გვმართებს ერთურთს ხელი ხელს მივცეთ!

ყალბი სიკეთე მტარვალ მეფისა  
დიდხანს გვზარავდა და გვაწამებდა,  
მაგრამ ნანატრი ყამი გვეღირსა,  
მეფე დაემხო, სიკვდილს დანებდა.

გათავისუფლდნენ, აღსდგნენ ერები  
და განამტკიცეს კავშირი ძმური,  
დღემ სიამის და ბედნიერების  
ცა გააბრწყინა ნილით ნაბური.

მძლე ქარიშხალმა რისხვით აღსავსემ  
ყინვა სიკვდილის ალით გათოშა,  
კიევისა და მოსკოვის თავზე  
ცისკარს ამოჰყვა ლენინის დროშა.

და აღსდგნენ ბრძოლად მილიონები  
დრო დაღა შრომის და განახლების,  
და აღიმართნენ — ვით პოემები  
ახალ მიწაზე დიდი სახლები.

ჩვენი ქვეყანა ბაღნარად იქცა  
ახალ სიცოცხლით გუგუნებს მიწა.

კომუნისტური ქვეყანა მიდის  
გმირული შრომა იპყრობს მწვერვალებს.  
და ძველი ქეგლი ბოგდანის დიდის  
დღეს ახალ სხივით ელავს, ბრწყინვალე!

თარგმნა  
**ხარიტონ ვარდოშვილი**

# დაუვიწყარი სიმღერა

„ბელორუსიავ ლამაზო,  
უკრაინავ, ღვიძლო დედავ...“  
ისევე მესმის ეს სიმღერა,  
როს ვიგონებ ომის დღეთა.  
მოსკოვთან და ვოლგის პირას,  
ყველგან, სადაც ვქვლიტლით ვერაგს, —  
ბრძოლის წინ და ბრძოლის შემდეგ  
გვამხსენებდა ეს სიმღერა.  
ეს სიმღერა კურსკშიც ჰქუხდა,  
ახსოვს იგი უღრან ტყეთაც...  
ჩვენ ვმღეროდით ამ სიმღერას  
რუს მხედრებთან მულამ ერთად.  
ქართველები, ბაშკირები,  
უზბეკები, — ყველა ერთხმად;  
უკრაინას, სიყვარულით,  
ვეძახოდით მშობელ დედას.  
„ბელორუსიავ ლამაზო,  
უკრაინავ, ღვიძლო დედავ...“  
ეს სიმღერა ახლაც რატომ  
გამახსენდა ისევე ნეტავ?!  
ამ სიმღერით, მხნე სიმღერით,  
ჭაობებში, მთებში, ღრეში...  
მივიწვევდი მტკიცედ, მედგრად,  
სულ წინ, წითელ დროშით ხელში,  
ყველა ერის ყველა შვილსა  
ერთმანეთის გესურდა შეველა...  
ყველას ერთი მზე გვათობდა  
ერთნაირად, განურჩევლად;  
მზე დიადი სამშობლოსი,  
ძმობის მზე და ძმობის ძალა;  
ამ მზის შუქი უძლეველი  
დე გულებში ენთოს მარად.



დე ის მიმი განსაცდელი, —  
რაც სამშობლომ გადიტანა;  
ნომარი მთა და ველი, —  
გვანიჭებდეს ორმაგ ძალას.  
ორმაგ ძალას, სამმაგ ძალას,  
რადგან მინდა, გულით მინდა;  
დაღვს, როგორც თანასწორი,  
შრომის გმირი ომის გმირთან.  
„ბელორუსიავ ლამაზო,  
უკრაინავ, ღვიძლო დედავ...“  
ისევე მესმის ეს სიმღერა,  
როს ვიგონებ ომის დღეთა.

თარგმნა  
**მურმან მაჭავარიანი**

თვალწარმაც ხეობებსა და ქალებში მდებარეობს ბაღებში ჩაფლული სოფელი ბერეუანი. ნახევარ წრედ გარს არტყია მას ტყით დაფარული მთები. კარგია აქ გაზაფხული, როცა ბაღები ჰყვავის, კარგია შემოდგომაც, როცა მწიფე ხილით დახუხმული ხეები მძიმედ იხრებიან მიწისკენ.

ერთხელ პრაქტიკანტმა პეტრე კოვინიამ, რომელიც ვინიცის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილებაში იყო მივლინებული სამუშაოდ, მოახერხა სოფელში გასვლა. გაზაფხული იდგა. როგორც კი ფეხმალი ცხენებით მინდორში გავიდა, კოვინია, შესანიშნავ გუნებაზე დადგა. საითაც არ უნდა გაეხედა — ირგვლივ ყველგან გადაშლილი იყო კოლმეურნეობის თვალწვედნი მინდვრები!

სტუდენტი მოწყურებული იყო ცოცხალ საქმეს, და ახლა, როცა იგი ბერეუანში, ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მიდიოდა, მას არც კი უნდოდა ეფიქრა, რომ თავისი პრაქტიკა საკანცელარო მუშაობით უნდა დაეწყოს. „აბა რა უნდა შევისწავლო საკანცელარო ქაღალდების ჩაქერებით? — ეკითხებოდა თავის თავს ახალგაზრდა ზოოტექნიკოსი. — ი, ფერმაში რომ მოგვხვდებოდენ...“

ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხეილ კლიუკი თითქოს მიუხვდა სტუდენტს გულისხნადებს.

— ხომ ხედავთ, შრომისმოყვარე ხალხი გეყვას, მაგრამ მეცნიერებაში მოვიკოტლებთ! ზოოტექნიკოსი არა გეყვას.

— მე ამიყვანდით? — ჰკითხა პეტრე კოვინიამ, და თავმჯდომარეს მიაჩერდა.

თავმჯდომარეს გაეღიმა.

— განა წამოხვალთ რაიონიდან? ისინი ეზოში იდგნენ, ფერმის მახლობლად, და კოვინია ინტერესით იცქირებოდა ღია ქიშკარში. წველის დრო იყო და მწველემები რძით ავსებდნენ ალუმინის ბილონებს.

— ეს ხომ ჩემი ოცნებაა!

განარებულმა თავმჯდომარემ მაგრად ჩამოართვა ხელი სტუდენტს.

მაგრამ რაიონში კოვინიას იმედი გაუცრუვდა. განყოფილების გამგემ ამს. შეველევამ ცივი უარი უთხრა პრაქტიკანტს კოლმეურნეობაში გამწვევის შესახებ.

— აქვს საჭიროა მომუშავეები, განყოფილებაში. ეგვეც რომ არ იყოს, ბრძანება უკვე ხელმოწერილია და არ შემძლია მისი დარღვევა.

— კი მაგრამ, აქ რა უნდა ვისწავლო?

დიდხანს ემუდარა იგი განყოფილების გამგეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. შეველევა უტეხი ადამიანი აღმოჩნდა. ამ მდგომარეობიდან კოვინია იხსნა პარტიის რაიონის მდივნის თედორე უარისის ჩარევამ. მან ურჩია მდივნისად, გაეშვა კოვინია კოლმეურნეობაში. აუწყრელი სიხარულით მიაშურა კოვინიამ ლენინის სახელობის კოლმეურნეობას.

\* \* \*

ახალგაზრდა ზოოტექნიკოსმა დაათვალიერა ფერმა. ძროხების ბოსელი კაპიტალურად იყო ნაგები აგურისაგან, მაგრამ არც ისე სახარბილოდ. „ახალი ბოსელია საჭირო, უფრო მოზრდილი, — გაიფიქრა კოვინიამ. — აქ უკვე ტევა ადარაა“. დაწვრილებით გამოკითხა მან მწველელებს თვითული ძროხის ამბავი.

— ადგილობრივი ჯიშის ძროხა კარგია, ურიგოდ არ იწველის, მაგრამ შეიძლება უფრო უკეთესი წველადობა ჰქონდეს! — თქვა ზოოტექნიკოსმა.

— ჩემი „ჩაიკა“ კი სულ არ იძლევა რძეს, — გულდაწყვეტით წარმოთქვა მწველელმა ქსენია ხრინამ.

ზოოტექნიკოსმა გასინჯა ხრინას ძროხა, შეამოწმა მისი ანეკტა.

— აუცილებლად უნდა მოვაცემინოთ რძე.

— ერთი წვეთიც არა აქვს, გამშრალია, და რას მოგვცემს?!

— თქვენ კი მაინც წველეთ. ერთხელ მოწველეთ — არ მოგცემთ, მეორედ — სულ ცოტას გაიძეტებს, მესამედ კი კარგად მოიწველის. ძროხა ხომ სახსებით ჯანსაღია, კარგად ჰკამს.

— სწორს ამბობს ზოოტექნიკოსი, — მხარი დაუჭირა ანა კლიუკმა. — მე ხომ ასე მოვაცემინე რძე ჩემს „ჩაიკას“!

ქსენიას ამ ნათქვამისა არაფერი სჯეროდა, მაგრამ მაინც სცადა. და როცა მესამე დღეს „ჩაიკამ“ რძე მისცა, სიხარულით ცას ეწვია.

— ეშმაკი ძროხაა ჩემი „ჩაიკა“! — იცინოდა ქსენია, როცა რძეს წურავდა. — ახლა კი ნახავთ, რა კარგი წველადიცაა. თქვენ რას იტყვით, ამხანაგო ანა.

— ახლა უნდა ეცადო, რომ ძროხამ მთელი თავი-



# გზა ბერეუანისკენ

ვასილ ბერეუანოვი

სი რძე მოგცეს, ერთი გრამიც არ შეაჩეროს, უბასუსა ანა კლიუკმა. — წველადობა თანდათან მიმობტებს. მე ჩემს „ჩაიკას“ მოგწველიდი ხოლმე, მერე წავიღოდი მეორე ძროხასთან და ჯიქანს მოვბანდი, და კვლავ „ჩაიკას“ დავუბრუნებდი. იმ რამდენიმე წუთში რძე ისევ მოადგებოდა „ჩაიკას“ ჯიქანში, ხელმეორედ რომ მოგწველიდი, უკვე ვეღარ „მიმალავდა“. ასე ავიყვანე 16 ლიტრამდე დღეში. შესაძლებელია, „ჩაიკასაც“ ასე მოუვიდეს. პეტრე კოვინია ინტერესით უგდებდა ყურს მათ საუბარს.

— თქვენ ახლაც მიმართავთ ამ მეთოდს? — ჰკითხა მან ანა კლიუკს.

— რა მეთოდს? — გაუკვირდა მწველელს.

— აი, ახლა რომ ლაპარაკობდით წველის შესახებ.

— სხოლოდ „ჩაიკას“ ვწველიდი.

— მხოლოდ „ჩაიკას“? საინტერესოა, საინტერესოა...

ზოოტექნიკოსმა გულისჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო და რაღაცა ჩაიწერა.

...ყოველდღე პეტრე კოვინია სულ ახალ და ახალ ამბებს გეტულობდა. ფერმაში მუშაობამ გაიტაცა იგი, მისი ცოდნა და გამოცდილება დღითი დღე იზრდებოდა. გავიდა ცოტა ხანი და იგი კოლმეურნეობაში სტუმრად კი აღარ გრძნობდა თავს, არამედ კოლექტივის სრულყოფილებიან წევრად. ყველა ხედავდა, რომ სტუდენტი სხვათა შორის კი არ მუშაობდა, მხოლოდ იმიტომ კი არ იყო აქ, რომ პრაქტიკა ჩათვლიდა. არა, იგი მთელი თავისი არსებით დაინტერესებული იყო საქმით. მან დაადგინა თვითული ძროხისთვის საჭირო ულუფა, აღძრა საკითხი გამგეობის წინაშე „მწვანე კონცეიერის“ გაფართოების, საკვების ბაზის განმტკიცების შესახებ. „მცოდნე ადამიანია“, ამბობდნენ მასზე; მას უკვე ენდობოდნენ კოლმეურნეები და გულახდილად უზიარებდნენ ახალგაზრდა ზოოტექნიკოსს თავის მოსაზრებებს, ექვებდა და იმედებს.

ერთხელ მასთან ანა კლიუკი მივიდა.

— დიდი ხანია ერთი საქმე არ მასვენებს.

— რა არის ასეთი?

— მე ხომ შეჯიბრებაში ვარ ჩაბმული სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწველელ ივანე პოლოლაკთან. მონდომებული და შუუპოვარი ადამიანია, კინაღამ გამისწრო — ხუთ-ხუთი ათასი ლიტრა მოწველა.

— თქვენ რა მაჩვენებლები გქონდათ?

— ანა კლიუკმა გადაფურცლა თავისი რეგული:

— აი ჩემი ბულატერია, აქ ყველაფერია ჩაწერილი.

ზოოტექნიკოსმა გამოართვა რვეული და დიდხანს ამოწმებდა ციფრებს. არ იყო ცუდი მაჩვენებლები. 1951 წელს ანა კლიუკს თვითულმა ძროხამ მისცა 2.551 ლიტრი რძე. 1952 წელს მკვეთრად გააძლია წველადობა — თვითული ძროხისგან მიიღო 5.052 ლიტრი. 1953 წელს 8 1/2 თვეში უკვე 4.400 ლიტრი მოწველა.

— რაღა გაწუხებთ, ამხანაგო ანა? — გაუკვირდა ზოოტექნიკოსს. — კარგი მაჩვენებლები გაქვთ და, რაც მთავარია, ყოველწლიურად უმჯობესდება ის.

— იცით რა, მე ვალდებულება ავიღე წელს თვითულ ძროხისგან 5.500 ლიტრი მომწველა, და არ ვიცი, შევასრულებ თუ არა...

— რამდენი იქნება სექტემბერში და ოქტომბერში?

— საქმეც მაგაა, რომ არ ვიცი. უგებგოდ ვემუშაობ, ბრმაღ...

— გეგმას აუცილებლად შევადგენთ! — წამოიძახა კოვინიამ. — თვითულ მწველელს ექნება თავისი გეგმა. — მან საათს დახედა. — წველის დროა. როგორც კი მორჩებით, გემის შედგენას ჩავეუჯდით.

მწველელმა თვითი ხალათები ჩაიცვას, საწველელებით ხელში თავთვის ძროხებთან წავიდნენ. ზოოტექნიკოსმა კი განაგრძო ანა კლიუკის „ბულატერის“ თვლიერება. ცალკე ფურცელზე ამოწერა მისი შემოსავალი 1952 წელს. თავის შრომადღებში მწველელს მიღებული ჰქონდა 28 ცენტნერი მარცვლეული, 5.050 ლიტრი რძე, 1820 მან. ნაღდ ფულად და მრავალი სხვა პროდუქტი. ყველაფერი ეს ფულზე გადაიყვანა, გაჰყო თორმეტზე და თვეში გამოვიდა 1820 მან.

„შესანიშნავი ბულატერია! — აღტაცებით გაიფიქრა კოვინიამ.

— „ეტილდღეობის ბულატერია“.

\* \* \*

დიდი ინტერესითა და ენთუზიაზმით შეხვდნენ კოლმეურნეები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სექტემბრის პლენუმის დადგენილებას. ზოოტექნიკოსმა დილით ადრე მოისმინა ეს სასიხარულო ამბავი რადიოთი. დღისით გაზეთებიც მოვიდა. ფერმაში გაზეთები მოიტანა იულია პოპოვამ — კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა. შესვენებზე მან საუბარი ჩაატარა: ილაპარაკეს წველადობაზე.

— რასაც მივალწით, ეს ზღვარი არაა, — თქვა ანა იაკულამ. — მე იმაზე ვოცნებობ, რომ წველადობის რეკორდს გადავაჭარბო. მაგრამ როგორ მივალწით ამას? — აი რაში გვეჭირდება თქვენი რჩევა!

ყველამ ზოოტექნიკოსს შეხედა.

— გარდა იმისა, რომ უნდა გაიზარდოს პირუტყვის სულადობა, და მეტადრე, ძროხების სულადობა, — დაიწყო კოვინიამ, — აუცილებელია რძის ხარისხის გაუმჯობესება. ყოველმა მწველელმა უნდა გააძლიოს რძის სიმსუქნე. ხომ გახსოვთ, ამხანაგო ანა კლიუკი გვიამბობდა, დამატებით როგორ წველიდა იგი ძროხებს. მე სპეციალურად შევამოწმე ამ დამატებით გამოწველილი რძის სიმსუქნე, გამოვიდა 9 პროცენტი. აი სადაა ჩვენი რეზერვი. ყველა რომ ასე წველდეს, მაშინ ფერმას წელიწადში დამატებით ექნებოდა 20 ათასამდე ლიტრი რძე. ამ რძეში კოლმეურნეობა სახელმწიფოსგან მიიღებდა 20 ტონა კონცენტრირებულ საკვებს და 20 ათას მანეთს ფულად...

\* \* \*

გვიან შემოდგომაზე, როცა კოვინიამ დაასრულა პრაქტიკა, კოლმეურნეები ფერმის ახალი სადგომის მშენებლობას შეუდგნენ.

— ხედავთ, — ამხანაგო კოვინია, — მიმართა ზოოტექნიკოსს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მიხეილ კლიუკმა, — მშენებლობა დაიწყო, თქვენ კი მიდიხართ.

— უკანასკნელი კურსი დამრჩა, მიხეილ პეტრესძე. აი, დავამთავრებ და თქვენთან დავბრუნდები. მე ვოცნებობ ასეთ ფერმაზე... სადაც ყველა მწველელი იმდენს მოწვევს, რამდენსაც თქვენი მეუღლე ანა წველის... სადაც ყოველი ძროხა წელიწადში არა ნაკლებ 5000 ლიტრისა მოგცემს! ყოველ გამოსასვლელ დღეს მოგინახულებთ, სიტყვას გაძღვეთ... მივუღვეთ თქვენი კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსად.

ფოტოზე: მწველელი ანა კლიუკი და ზოოტექნიკოსი პეტრე კოვინია.

იპრი იანოვსკი

უკრაინელი მწერალი იური იანოვსკი თავის მოთხრობაში „ქალაქი მავთულხლართების მიღმა“ გვიამბობს უკრაინელ ფეხბურთელთა გმირობის ამბავს. გერმანელ ფაშისტთა მიერ ოკუპირებულ კიევიში უკრაინელმა ფეხბურთელებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს „არიელი“ სპორტსმენები.

ბედნიერად მიედინებოდა ჩემი ახალგაზრდობა და მეგობრები, რომ ცხოვრების გზაზე არავითარ სიძინელს არ წავაწყდებოდი. როგორც ყოველი ახალგაზრდა, დავინტერესდი სპორტით. მაგრამ ტალანტი ამ დარგში გვიან გამოვაჩვენე, მაშინ უკვე ქარხანაში ვმუშაობდი.

„ბერლინის ნაკრებთან“ გამარჯვების შემდეგ უკრაინელი ფეხბურთელები საკონცენტრაციო ბანაკში ჩამწყვდიდეს და ზოგი მათგანი დახვრიტეს. ამ ამბავს ავტორს უამბობს საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოქცეული ერთ-ერთი ფეხბურთელი. მოთხრობის თარგმანს ვბეჭდავთ შემოკლებით.

შეგვეწერა, რომ მტერს ჩვენი გვამები გადავთვალა და მხოლოდ ასე მოსულიყო სახლთან, სადაც რაიკომის სხდომა მიმდინარეობდა. უკიდურესობაში როგორც იტყვიან, საქმე არ მისულა. მაგრამ, როდესაც დავინახეთ, რომ იმ ალიქმული სახლიდან ნელ-ნელა გამოდიოდა ხალხი, ჩვეულებრივი, ისეთივენი, როგორც ჩვენ ვართ — და როდესაც ნათელი გახდა, რომ სხდომა მშვიდობიანად დამთავრდა, ჩვენმა ბიჭებმა თავს ნება მისცეს და ისიამოვნეს, გზა მისცეს სიხარულსა და გამოუყენებელ ენერჯის, როდესაც გზოდან მეზობელ გამოვიდა და ფლანკის მორწყვა დიწყო — ეს პირობითი ნიშანი იყო: უკვე შეგვეძლო პოსტების დატოვება — ბიჭებმა შორიხლის მიხეტილად პოლიციელი დაიჭირეს, თვალები აუხვიეს, ვილაცის მაღალ ტიწარზე შეისკუპეს და აიძულეს, „ყიცილიყო“ დაეძახა. რას იზამთ, ახალგაზრდები იყვენ, თავქარიანები!..

სხვენზე აძვრა, მეორე ცარიელ სამტრე-ლში მოკალათდა (გერმანელებმა ბოლოში ბოლოს განადგურეს მტრელები), მესამე — ბოძიდან ბოძზე გადადიოდა, ვითომ გაყვანილობას არმოინტერესებდა. მეოთხე კი, ყოჩაღმა და გამბედავმა ახალგაზრდამ მიზეზიც მოუძებნა თავის თავს რომ სამტრელოზე ასულიყო და იქიდან გადამოეხდინა. ჩვენ გვევალებოდა ყველფერი შეგვეჩინა, რაც საუკეთესო იყო, რაც იატაკქვეშელთა ხელმძღვანელობას საფრთხეს უქადდა, და სათანადო ზომების მიგველო: ვაგვეფრთხილებინა, ვაგვეჩერებინა, ვაგვეკავებინა, შევბრძოლებოდით და თუ საჭირო იქნებოდა, თავიც თავქარიანები!

შეგვეწერა, რომ მტერს ჩვენი გვამები გადავთვალა და მხოლოდ ასე მოსულიყო სახლთან, სადაც რაიკომის სხდომა მიმდინარეობდა. უკიდურესობაში როგორც იტყვიან, საქმე არ მისულა. მაგრამ, როდესაც დავინახეთ, რომ იმ ალიქმული სახლიდან ნელ-ნელა გამოდიოდა ხალხი, ჩვეულებრივი, ისეთივენი, როგორც ჩვენ ვართ — და როდესაც ნათელი გახდა, რომ სხდომა მშვიდობიანად დამთავრდა, ჩვენმა ბიჭებმა თავს ნება მისცეს და ისიამოვნეს, გზა მისცეს სიხარულსა და გამოუყენებელ ენერჯის, როდესაც გზოდან მეზობელ გამოვიდა და ფლანკის მორწყვა დიწყო — ეს პირობითი ნიშანი იყო: უკვე შეგვეძლო პოსტების დატოვება — ბიჭებმა შორიხლის მიხეტილად პოლიციელი დაიჭირეს, თვალები აუხვიეს, ვილაცის მაღალ ტიწარზე შეისკუპეს და აიძულეს, „ყიცილიყო“ დაეძახა. რას იზამთ, ახალგაზრდები იყვენ, თავქარიანები!..

მეორე ზამთარი ჩვენთანაც სტალინგრადის გამარჯვებით აღინიშნა. როდესაც ჰიტლერელებმა გლოვა გამოაცხადეს პაულოუსის დალუპული არმიის გამო, კიევი შემომოხდა. პურის ქარხნის ეიოში ხანდახან ვთამაშობდით ბურთს — იმ მიზნით რომ ტექნიკა მაინც არ დაგვეჩვიებინა. ქარხანაში, დირექტორის კაბინეტის თავზე, გერმანელი შუფი ცხოვრობდა. ვილაცის ეთქვა მისთვის, რომ ჩვენ ქალაქის ნაკრებ გუნდს წარმოვადგინებ. ამის შემდეგ იგი ხანდახან თვალს ადევნებდა ჩვენს ვარჯიშს, თანაც უნდოდა ეჩვენებინა, რომ ცოტა რამ მასაც ესმოდა სპორტულ საკითხებში.

იმ დღეებში გერმანელ ფეხბურთელთა გუნდი ჩამოვიდა კიევიში, თავიანთ თავს „ბერლინის ნაკრებს“ უწოდებდნენ. ვინ იცის სინამდვილეში რა ხალხი იყო, ყველას მაღლიდან დასცქეროდნენ და ინდოურებივით იფხობებოდნენ. ისინი არმოვიფხვრებდით უზღუნდნენ. იმას ვერ გეტყვი, რომ ცუდად თამაშობდნენ. მაგრამ სუსტ გუნდთან ჰქონდათ საქმე და თავს გაუფიქრებ, სტილი დაკარგეს, თუ კი ოდესმე ჰქონდათ. უტიფრად იქცეოდნენ და ამტრევენდნენ მოწინააღმდეგეებს. ადგილობრივი უზარული გარნიზონის ფეხბურთელებთან თამაშისას ერთ უზარულს ხელი მოამტრიეს, მეორეს მუხლის თავი ჩაუსხვიეს, მესამეს გულ-მკერდი შეუღულეს. პასუხად უზარულები კინაღამ აუჯანყდნენ. ისინი სწრაფად გაიყვანეს კიევიდან და პარტიზანების წინააღმდეგ გაგზავნეს ბრიანსკის ტყეებში. კიდევ შესდგა რამდენიმე მატჩი, კიდევ ბევრი მოთამაშე დაამტრიეს გერმანელებმა. მათი თამაში უკვე აღარავის აინტერესებდა. „დინამოს“ სტადიონი დატარილდა.

ერთ დღეს ქალაქში ვანცხადებდამოაკრეს ახალი მატჩის შესახებ. მივედი დილით სამუშაოზე და ვხედავ პირდაპირ კარებზე აუწებებიათ აფიშა. გასაგებია, ისევე ბერლინელები თამაშობენ! მაგრამ ახლა ვის დაამტრევენას აპირებენ? „კიევის ნაკრების?“ მოიცა, მოიცა, ვინ გამოვა კიეველების სახელით? მაგრამ როდესაც ჩემი ამხანაგების დაბნეული სახეები დავინახე, მაშინვე მიხვდი, რომ ჩვენ თვითონ მოვიხდებოდა ბერლინელების წინააღმდეგ თამაში. წყველდა შეგმა „მოვიხებრა“ ამ მატჩის მოწყობა. ბერლინელებს ტრიუმფი ელოდათ, ჩვენ კი — დამტრეული ძვლები და მშრალი ანგარიში. მაშინვე იატაკქვეშელს დავეკავშორდი: ასე და ასე საქმე, რას გვეტყვი, არალეგალურ მდგომარეობაში ხომ არ გადავიდეთ? „აუბოთნე გერმანელებს?“ — გვიოხნეს იატაკქვეშელმა. „რატომაც არა? — უპასუხა ჩვენმა კაპიტანმა — მაგრამ თუ შეამჩნევენ, რომ მოგზაზე ვთამაშობთ, ფენის განძრევის საშუალებას არ მოგვცემენ!“ „ჩვენ კი კიეველებით სავსე სტადიონი გვესაპირებოდა“ — გვიოხრეს იატაკქვეშელმა. გასაგებია, — უნდა ვითამაშოთ. მაგრამ როგორ?

ჩვენ ვიცოდით, რომ თუ ხუთზე ნაკლები ბურთით გვაჯობებდნენ — ხელ-ფეხს აღარ შევარჩენდნენ ფრიცები. ჩვეულებრივი „ყამისი“ შემთხვევაში, ადგილზევე დაგვხვებდნენ ისე, რომ არც გავიყვანდნენ მინდვრიდან. შეგმა კანტორაში გამოვიკიხა და თავი მოგაბეზრა ლაპარაკით: ვითომდა, რა პატივი გველირსა და როგორ უნდა ვითამაშოთ ამით. მისი სიტყვებიდან გამოდიოდა, რომ გერმანული სპორტის ღმერთმა ჩვენ ამოგვარჩია იმის დასანტიკოვლად, თუ რა არასრულფასოვანია სლაფური ფსიქიკა, რომელსაც არ შეუძლია უმაღლესი რასის წარმომადგენლების დამარცხება. „იცრუე — ვაგიფიქრეთ ჩვენ — სხვა არაფერი დავარჩენია, რაც იქნება, იქნება!“

წარმოადგინეთ ჩვენი მდგომარეობა, როდესაც ხალხით გაჭედილი „დინამოს“ სტადიონი დავინახეთ. ესეც ასე! შევეყურებთ ერთმანეთს და სიცოცხლეს ვემშვიდობებით. აი ი, ჩვენი უქანასკნელი მატჩი, გაუხფხფელი. მწვანე მალახი. ხეობი შევითვლილან. სტადიონის ირგვლივ, გორაკებიდან საყვარელი მწვანე ფერი იღვრება. ჩვენ კი უნდა ვითამაშოთ. მატჩს ვანსაჯის არა გერმანელი მსაჯე, არამედ მოელი კიევი. რამდენა აქ თანამოაზრე, ქალაქის სხვა იატაკქვეშე ცხოვრების ორგანიზატორები, ჩვენი ახლობელი მეგობრები? ესმით თუ არა ჩვენი მდგომარეობა? იცინა თუ არა, რა ხდება ჩვენს სულში? როგორც კი სტადიონზე გამოვიდით, ეჭვი გავიქვრა; ესმოდით ჩვენი. სჯეროდათ, მხარს გვიჭერდნენ. კარგი იქნებოდა, ასე მსუბუქად რომ არ გამოეხატათ თავისი გრძობები. გამაყრდნობელი ტაშისცემით და ოვაციით შეგვხვდა სტადიონი, ბერლინელებმა ასეთი მიგებება თავიანთ თავზე მიიღეს. ბალეტის მსახიობებივით დაიწყეს რვეერანსები და თავის ქნევა, პასუხად კი ტრიბუნებიდან ყურთწამლები სტვენა მოისმა, რადგან მხოლოდ მსხვერპლი ვიყავით, და არათანასწორუფლებიანი პარტნიორები, გერმანელებს არ







# ჩემი გამოცდილება



## 3. 3. უილაოვი

აკადემიკოსი, სტალინური პრემიის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

ჩემი მუშაობის ბაზაა ოდესის სამედიცინო ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კათედრა და თვალის სნეულებათა უკრაინის სამეცნიერო-კვლევითი ექსპერიმენტული ინსტიტუტი.

თვალის მკურნალობის მეცნიერულ პრობლემათა დამუშავებაში მრავალ მიღწევათა შორის აქ მე შეეჩერებოდა მხოლოდ უმთავრესზე.

ერთი ასეთი მიღწევა ეკუთვნის ადგილობრივ (ბლასტიკური) ქირურგიული ოპერაციების დარგს. ეს არის ეგრეთ წოდებული „მრგვალი ღერო“, რომელიც შეიმოხვეა. ამ მეთოდის დამუშავება ჯერ კიდევ 1914 წელს იქნა დაწყებული და იგი გამოქვეყნდა 1917 წელს ჟურნალში „Вестник офтальмологии“.

ჩემი წინადადების არსი შემდეგში გამოიხატება. ორი კვირით ადრე გასაკეთებელ ოპერაციამდე — რომელიმე დეფექტის დასაფარავად — ბაციენტს ამოჭრიან კანის ფართო ლენტს ისე, რომ ბოლოებში არ გადაიჭრას, ამ ლენტის ნაბირებს ერთმანეთს მიაკერებენ; ამის გამო ის ცილინდრულ ღერებად — „ღეროდ“ გადაქცევა. ჭრილობა ღეროს ქვეშ გაიკერება.

მეორე მეცნიერული მიღწევა რქოვანი გარსის გადარგვა სიბრმავისა და ინფლამაციის შემთხვევაში, როდესაც ეს გამოწვეულია რქოვანას მყარი შემდგომით — ეგრეთ წოდებული ბისტით.

საუკეთესო შედეგებს იძლევა რქოვანას ნაწილობრივი გამოჭოლი გადაჩრვა, ამისათვის ბისტში კეთდება მრგვალი ხვრელი, რომელშიც ჩაიდგება ადამიანის თვალისაგან აღებული რქოვანას ნაჭერი, შესაბამისი სიდიდისა და ფორმისა. ცხოველთა თვალის რქოვანა გადასარგავად არ გამოადგება.

სპეციალური იარაღების (ტრეპანების) გამოგონებით ოპერაციებს საშიში მხარეები მოვაშორეთ (მაგალითად, ბროლის დაჭრა). განსაკუთრებით ძვირფასია ტრეპანი ФМ — III, იგი აბსოლუტურად გვიცავს ბროლის დაჭრის საფრთხისაგან.

ბისტისი ბაციენტები — ბრმები და ნახევრად ბრმები, რომლებიც რქოვანას გადაჩრვა საჭიროებენ, მთელ მსოფლიოში მილიონობით არიან, თვალები კი, საიდანაც გამჭვირვალე რქოვანას აღება შეიძლებოდა, აშკარად, არასაკმარისი იყო — ბაციენტებს თვალის შეიძლება ამოულ მხოლოდ მძიმე დაავადებისა თუ ტრავმის შედეგად, ასეთი შემთხვევა კი მეტად მცირეა. ამის გამო მივმართე ვეგმათ თვალეს.

მე დავამტკიცე, რომ ვეგმათა თვალის რქოვანა, 1-3 დღეამის განმავლობაში შენახული ნოლს ზევით 3-4 გრადუსიან სითბოში, ავადმყოფის ბისტს უკეთესად შეეზრდება, ვიდრე ცოცხალი ღონორების უკეთესად შეეზრდება, ამოვღებენ მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში) თვალთა რქოვანა, ასე, მე აღმოვაჩინე მასალის უხვი წყარო რქოვანას გადარგვისათვის და ამის მეოხებით პირადად შევეძლია, ჯერ კიდევ 1949 წლის აგვისტოსთვის დამემთავრებინა გადარგვის ჩემი პირველი ათასეული. ამრიგად, დავამყარე თავისებური მსოფლიო რეკორდი. ამჟამად ჩემი მოწაფეებისა, მიმდევრებისა და ჩემ მიერ გაკეთებულ გადარგვათა რიცხვი 7 ათასს სჭარბობს.

ოპერაციებისათვის საგზისთ ხელსაყრელ შემთხვევებში ვეკვამს წარმატება 90 პროცენტამდე. ჩვენ კიდევ უფრო უკეთესი შედეგებისთვის ვიბრძვით. ხშირად მხედველობა იმდენად უმჯობესდება, რომ ავადმყოფს შრომისუნარიანობა საცხებით უზრუნველდება. ოპერაციისთვის არ გამოადგება თვალები, რომლებსაც მხედველობის ორგანოს მხედველობითი-ნერვული აპარატის დაავადებათა გამო დარღვეული აქვთ სინათლის შეგრძნება. აგრეთვე სრულიად განუკურნებლად ითვლებოდა თვალები ამოზურცული ბისტებით. ამჟამად ჩვენს ინსტიტუტში გამოშუშებულია რქოვანას სრული და თითქმის სრული გადარგვის ტექნიკა. ამ საკითხს წარმატებით ამუშავენ მეცნიერი მუშაკი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ა. პუჩკოვსკია. გარდა ამისა, ჩვენ წარმატებით განვახორციელეთ პროფესორ ელმარკის იდეა — მთლიანად გადარგული, მაგრამ შემდგრებული რქოვანას ნიადაგზე ვაკეთებთ ნაწილობრივ გამოჭულ გადარგვას. ეს ბრძოლა მთლიან ამოზურცულ ბისტებთან დიდი მიღწევაა.

მესამე ძალიან დიდი მიღწევაა ქსოვილოვანი თერაპია. ჩემ მიერ დადგენილია, რომ ადამიანის ორგანიზმს მოშორებული ქსოვილები, ცხოველთა ქსოვილები, აგრეთვე მცენარეთა ფოთლები, თუ ისინი ინახება მათი არსებობისათვის არახელსაყრელ, მაგრამ არა მომავდინებელ პირობებში, განიცდის ბიოქიმიურ გადაკეთებას, რასაც თან ახლავს ამ ქსოვილებში ისეთი განსაკუთრებული ნივთიერებების დაგროვება, რომლებიც მათ წარმოშობა ქსოვილებს სასიცოცხლო პროცესებს უნარჩუნებენ.

მათი წარმოშობის მიხედვით, მათ ბიოგენური სტიმულატორები ვუწოდებთ.

ბიოგენური სტიმულატორების შეყვანა ავადმყოფის

სხეულში შეიძლება სხვადასხვა გზით. შეიძლება ქირურგიული გზით კანის ქვეშ ჯიბის გაკეთება და შიგ ბიოგენური სტიმულატორებით გამდიდრებული ქსოვილის პატარა ნაჭრის მოთავსება. ქსოვილისაგან, რომელიც განისრულებს, სტიმულატორები შევა ორგანიზმში და აღბრავს მასში განსრუტვისა და რეგენერაციის პროცესებს, რაც ხელს შეუწყობს განკურნებას.

ჩემი მეთოდით კონსერვირებული ქსოვილებით მკურნალობა იძლევა შესანიშნავ, ზოგჯერ განსაკვივრებელ შედეგებს თვალის მრავალი სნეულების წამოშლისას, როგორცაა: წყლულოვანი ბლუფარიტი, ჯიბილით, გაზაფხულის კატარი, რქოვანას გარსის სნეულებანი, ბალურას და სისხლძარღვოვანი გარსის დაავადებანი — ბეცებისა, სისხლძარღვოვანი გარსის ანთება, ბალურას პიგმენტური გადაგვარების არაგართული ფორმები, მინისბერი სხეულის შემდგრება, ტრაქომა, ტრაქომატოზული პანუსი, სიმპათიკური ანთება, სხვადასხვა ეტიოლოგიის მხედველობის ნერვის ატროფია და სხვ.

ქსოვილოვან თერაპიას მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს სხვა ორგანოთა მკურნალობაშიც.

მე ვფიქრობ, რომ ბიოგენური სტიმულატორები ძირითადად, მოქმედებენ პირველ რიგში თავის ტვინის ქერქის ფერმენტებზე. ეს ფერმენტები, როგორც ცნობილია, ძალიან აქტიურია და მათი აქტივობის გაძლიერება ხელს უწყობს თავის ტვინის ქერქის მარეგულირებელსა და ხელმძღვანელს როლს გაჯანსაღების პროცესში. ეს არ გამოირჩევა ბიოგენური სტიმულატორების გავლენას ფერმენტებსა და ორგანიზმის სხვა ქსოვილებზე, ასე, მაგალითად, ბიოგენური სტიმულატორები აქტიურად მოქმედებს მცენარეულზეც სადაც ნერვული სისტემა არ არის (ზრდისა და მოსალოდინობის გაძლიერება).

ბიოგენური სტიმულატორების განვითარება ძლიერი, მაგრამ არა მომავდინებელი ფაქტორების გარემოს გავლენის ქვეშ, როგორც ვფიქრობ, საერთო კანონია მთელი ცოცხალი ბუნებისათვის. ბიოგენური სტიმულატორები წარმოადგენს პრობლემებს არა მგვიდარი არამედ ცოცხალი ქსოვილისა, რომელიც იბრძვის თავისი არსებობისათვის.

ქსოვილოვანი თერაპია ფართოდ ვავრცელდა ჩვენს კავშირში და საზღვარგარეთაც.

შემდეგი საკითხი, რომელსაც მე და ჩემი სკოლა დიდ ყურადღებას ვაქცევთ, არის თვალის ავადმყოფობა — გლაუკომა ან, როგორც მას ხშირად ეძახიან, „შავი წყალი“.

სიბრმავის მიზეზთა შორის გლაუკომას პირველი ადგილი უჭირავს. მთელ მსოფლიოში გლაუკომით მრავალი მილიონი ადამიანი დაავადებული და მრავალ მილიონს ამ სნეულებით მხედველობა დაუკარგავს. მაგრამ გლაუკომით დაავადებული არა ყოველი ადამიანი ბრმავდება. თუ თავის დროზე, ავადმყოფობის დაწყებისთანავე, მას სწორად ვმკურნალობთ, დაბრმავება გლაუკომისაგან შეიძლება ავიცილოთ, ამიტომ მოსახლეობა გლაუკომის ნიშნებს უნდა იცნობდეს, რათა თავის დროზე მიმართოს ექიმს, გლაუკომის ძირითადი ნიშანია თვალშიგნითა წნევის მომატება, რის გამოც ავადმყოფი თვალი ხელის შეხებით უფრო მკვრივია, ვიდრე ჯანმრთელი თვალი. თვალშიგნითა წნევა რეგულირდება ნერვული სისტემით — თვალშიგნითა რეგულატორით, რომელიც ჩემმა მოწაფემ პროფესორმა ს. ი. კალდამ აღმოაჩინა, სიმპათიკური ნერვებით, თავის ტვინის ქერქქვეშა ცენტრებით და ქერქით. მოზილობა ამ მარეგულირებელი აპარატის მოქმედებაში იწვევს თვალშიგნითა წნევის მომატებას.

განასხვავებენ გლაუკომის ორ ფორმას: შეგუბნითსა და მარტივს.

მხოლოდ გლაუკომის თავის დროზე გამოცნობით შეიძლება უზრუნველყოფით ამ ავადმყოფობ-

ბის სწორი მკურნალობა. თვალის წნევის შეწყობა წნევის განსაკუთრებულ გამოშობა (ტონომეტრების) საშუალებით გამოარკიონ თვალშიგნითა წნევის მქერე მომატებაკი. მსოფლიოში საუკეთესო ტონომეტრია პროფ. ა. ნ. მაკლაკოვის ტონომეტრი. ჩემი წინადადებით გაუმჯობესებულ იქნა თვალშიგნითა წნევის განსაზღვრა პროფ. მაკლაკოვის სხვადასხვა წონის რამდენიმე ტონომეტრის გამოყენებით და პროფ. ს. ი. კალდასთან ერთად შემოვიღე ხმარებაში მეთოდი, ეგრეთ წოდებული ელასტოტონომეტრისა.

ძვირფასი საშუალებაა წარმოადგენს თვალშიგნითა წნევის სადღეამისო რყევის ზომვება, დოქტორ ა. ი. მასლენიკოვის მეთოდით. ამას გარდა, თვალის ექიმმა ყოველთვის გულმოგინედ უნდა შეამოწმოს იმ ავადმყოფის მხედველობის არე, რომელიც გლაუკომით დაავადების ემს იწვევს.

თუ გლაუკომა დადგენილია (ან ავადმყოფი ამით დაავადების ემს იწვევს), ავადმყოფს დაუნიშნავენ თვალის წნევის (პილოკარპინის, ეფედრინის, ფურამონის, ფოსფანოლის და სხვ.) ხმარებას და წამლის მოქმედებას მუდმივ კონტროლს უწყვენ. თუ წნეხები თვალშიგნითა წნევა არ არეგულირებს, მაშინ აუცილებელია (ელიოტის, ლეგრანჟის ან გოლტის) ოპერაცია. ამ „საფისტულო“ ოპერაციების ძირითადი პრინციპი წამოაყენა პროფესორმა ა. ნ. მაკლაკოვმა. ყოველი ოკულისტი ვალდებულია იცოდეს ამ ოპერაციების გაკეთება. გლაუკომისთან ბრძოლის ორგანიზაციული საფუძველია დასასწრული მეთოდი. რომელიც ჩემი წინადადებათა პირველად შემოიღეთ 1934 წელს ოდესის სამედიცინო ინსტიტუტის თვალის კლინიკაში, შემდეგ კი გლაუკომის დისპანსერიში მოაწყვეს თვალის სხვა დაწესებულებებშიც.

დიდ ყურადღებას ვაქცევთ აგრეთვე ტრაქომასთან ბრძოლას. ამ ავადმყოფობასთან ბრძოლის ორგანიზაციული საფუძველია მოსახლეობაში ტრაქომის ავადმყოფთა აღრიცხვა, მისი კერების გამოვლინება. მკურნალობის საუკეთესო საშუალებაა განმეორებით (თვეში ერთჯერ) ტრაქომატოზული მარცვლების გამოყენება და ქუთუთოების ლორწოვანი გარსის ინფილტრაცია. გამოქყვტვას ჩვეულებრივად 5-8 ჯერ ახდენენ, ქსოვილოვან თერაპიასთან ერთად.

ჩემი სკოლის უკანასკნელ მიღწევათაგან აღვნიშნავ რქოვანას ზემოთ აღნიშნულ თითქმის სრულ გადარგვას, აგრეთვე სხვა ორ მიღწევას. არის შემთხვევები, როდესაც ავადმყოფობის (დაწვის, ტრაქომის შემდეგ) გავლენით წყდება ცრემლის გამოყოფა; ამის გამო რქოვანა შრება და იმღვრება; ამ შემთხვევებში დახმარება შეუძლებელი იყო. მაგრამ მე და ჩემმა მოწაფემ დოცენტ გ. ე. შევალევმა შევიმუშავეთ ოპერაცია ყურთან მდებარე ჯირკვლის ნერვების საღრის მიკერებისა ქუთუთოების ქვედა თათთან; ნერვით მორწყვა თვალს იხსნის დაღუპვისაგან. ბალურას ჩამოცლის მკურნალობაში შემოვიღე ახალი საშუალება, სახელობრ, ძლიერი სიმკავეთი სკლერის ზედაპირის მოწვა უკანასკნელის გაუკეთდა. ტრაქომატომის დარგში დიდი მნიშვნელობა მიიპოვა კალვა-ბროდსკის მაგნიტებმა, რომლებიც უელექტრონოდ მუშაობენ.



## მეფოლადე ივანე მეტრეველი

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის თემშიარაზე განუწყვეტილად მიჰქროდნენ ყურძნით დატვირთული ავტომანქანები. საკოლმეურნეო მარანის საწინახელში გოდორი გოდორზე იცლებოდა.

1944 წლის შემოდგომის საღამო იყო. ამ დღეს ალექსი მეტრეველს ოჯახში დიდი წვეულება ჰქონდა. იგი უკრაინაში ისტუმრებდა თავის ერთადერთ ვაჟს, 18 წლის ივანეს. ახლობლები და მეგობრები ჭაბუკს გზას ულოცავდნენ, სწავლასა და შრომაში წარმატებას უსურვებდნენ.

თბილისში ჩამოსული ივანე მალე, სხვა ქართველ ჭაბუკებთან ერთად, ფოლადდნობის შესასწავლად დონბასში გაემგზავრა.

დონბასის გულს ეძახიან უკრაინელი მეტალურგები ქალაქ სტალინოს. ამ ინდუსტრიულ ქალაქში ბევრია დიდი ქარხანა, მაგრამ მათ შორის ყველაზე დიდი სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანაა. სწორედ ამ ქარხანაში მიიბარეს ივანე ფოლადდნობის საქმის შესასწავლად ცნობილ ჩქაროსან მეფოლადეს კუზმა გერასიმოვს. სამი წლის განმავლობაში ივანე ერთგულად მუშაობდა და გატაცებით სწავლობდა ფოლადის დნობის ტექნიკას.

საკუთარი შვილივით შეიყვარა ქართველი ახალგაზრდა რუსმა მეფოლადემ, ხალისით უზიარებდა თავისი მრავალი წლის საწარმოდ გამოცდილებას.

— ფოლადის გამოდნობა რთული როდია, მაგრამ საქმის ცოდნა საჭირო, — ეუბნებოდა კუზმა გერასიმოვი ქართველ ახალგაზრდას. — თუ მას კარგად დაეუფლი შემდეგ გაუმჯობესებაც კი შეგიძლიან შეიტანო, აი, თუნდაც ღუმელის გაწყობაზე ტექნოლოგიური რეჟიმის ზუსტად დაცვით, სულ ცოტა, 10 წუთის მოგება შეიძლება.

— ათი წუთი?! — გაოცებით გაიმეორა ახალგაზრდამ.

— გეცოტავა განა? — უპასუხა მოხუცმა. — გახსოვდეს მუდამ, რომ მარტენის ღუმელთან დროის საანგარიშოდ წუთები და სეკუნდები საჭირო. სხვანაირად ჩქაროსანი ვერ გახდები.

ოსტატის ეს სიტყვები არასდროს დავიწყებია ივანე მეტრეველს. სტალინოში ივანე თავდაპირველად მეფოლადის დამხმარედ მუშაობდა, წამოსვლისას კი პირველ თანაშემწედ გადაიყვანეს.

სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ფოლადის პირველი გამოდნობის სამუშაოს იყენებდა.

მიუვლიანზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველას მზერა მიბყრობილი იყო მარტენის საამქროსაკენ. მოუთმენლად მოელოდნენ პირველი ფოლადის გამოჩენას. უცებ ტაშმა იგრიალა. უზარმაზარ ციცხვში ღუმელის ღარიდან ღვართქაფად ქცეული ლითონი გადმოიღვარა.

ეს იყო ქართველ მეტალურგთა პირველი დიდი გამარჯვება. პირველი დნობა განხორციელა იმ მეფოლადეთა ბრიგადამ, რომელსაც ივანე პიენიკოვი ხელმძღვანელობდა. ამ დღეს მეფოლადის პირველ თანაშემწედ ივანე მეტრეველი მუშაობდა.


ივანეს თანაშემწედ დიდხანს არ უმუშავანია. როგორც კი ახალი ღუმელი ჩადა მწყობრში — იგი მეფოლადედ დააწინაურეს. ახლა მარტენის საამქროში რამდენიმე ღუმელია, მაგრამ მათ შორის ყველაზე კარგად ის ღუმელი მუშაობს, რომელსაც ივანე მეტრეველის ბრიგადა ემსახურება. ღუმელთან ვახტზე მდგარ ივანე მეტრეველს მუდამ ახსოვს თავისი რუსი მასწავლებლის კუზმა გერასიმოვის სიტყვები: „მარტენის ღუმელთან დრო წუთებით და წამებით უნდა იანგარიშო“. გამოცდილი მეფოლადის სიტყვებში ივანე უკვე კარგა ხანია დარწმუნდა.

ი. მეტრეველმა ფოლადის დნობის ხანგრძლიობა 2 საათით შეამცირა. მის მიერ განხორციელებულ დნობათა 70 პროცენტი ჩქაროსნულია. მან ორი ტონით გაზარდა თვითიველი კვადრატული მეტრი ქვედის გამოსავლიანობა. ივანე მეტრეველის თავდადებული შრომა ხალხმა დააფასა: იგი 14 მარტს ერთსულოვნად აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

თ. გომსაძე

გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი აკადემიკოსი ვ. პ. ფილატოვი ესაუბრება კუი-იშევის შიდროსადგურის მშენებელს, ექსკავატორზე მომუშავე ბ. ე. კოვალენკოს. სინი პირველად სამამულო ომის წლებში შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ კოვალენკო თავი ზღვის ფლოტში იყო მატროსად, ერთ-ერთ საბრძოლო ოპერაციის დროს მან ილიო კონტუზია და დაკარგა მხედველობა. პროფესორმა ფილატოვმა კოვალენკო ანკურა — დაუბრუნა მხედველობა.

კახოვიკის ჰესის სამშენებლო-დამხმარე წარმოებებისა და გზათა სამმართველოს № 1 უბნის მშენებლობის უფროსი ინჟინერი აკაკი ჭყონია სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებულად დაამთავრა. 1951 წლის დეკემბრიდან ჭყონია მუშაობს კახოვიკის ჰესის მშენებლობაზე, სადაც მან თავი ისახელა როგორც ნიჭიერმა და უნარიანმა სპეციალისტმა. ახს. ჭყონია არჩეულია ახალი კახოვიკის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.



ნახატი პ. ჩიჩკანოვისა

## მეგობრობა

ორივე ვლადიმერი — კურილოვიც და კერვალიძეც ფრონტზე მწვერავები იყვნენ.

ვლადიმერ კერვალიძე საპაერო დაზვერვას აწარმოებდა მტრის ღრმა ზურგში — მოსკოვთან, სტალინგრადის დაცვისას, ვარშავის განთავისუფლებისას... სამამულო ომის პირველი ორდენი მას აეროდრომზე გადასცეს, უკანასკნელი — განთავისუფლებულ და დროებით მორთულ პრაღაში.

პოლკის მწვერავმა ვლადიმერ კურილოვმა დნების გადაღებისას დიდების ორდენი მიიღო, დუნაზე — საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავი.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ კურილოვი ქალაქ უდნოვში გაემგზავრა და რეღსებისა და მიღების მგლინავად დაიწყო მუშაობა.

კერვალიძემ რუსთავი არჩია საქართველოს სხვა ქალაქებს. კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა იგი სპორტსაზოგადოება „მეტალურგის“ ჩამოსაყალიბებლად მიაგლინა მეფოლადეთა ქალაქში. ვლადიმერ კერვალიძეს ძალზე უყვარდა სპორტი, იგი ომის დროსაც არ ივიწყებდა მძლეოსნობასა და ტანვარჯიშს. მოკლე ხანში მან რამდენიმე ფიზკულტურული კოლექტივი და საამქროთა ფეხბურთის გუნდი ჩამოაყალიბა რუსთავში, რისთვისაც მადლობა მიიღო მოსკოვიდან. მაგრამ ვლადიმერს რატომღაც არ აკმაყოფილებდა ეს მიღწევები, უნდოდა უფრო მეტი გაეკეთებინა, უნდოდა ფოლადის გამოდნობაში მიეღო მონაწილეობა.

საბჭოთა ადამიანის ოცნება ხომ მუდამ სინამდვილედ იქცევა; 1950 წლის დასაწყისში, სხვა ახალგაზრდა ქართველებთან ერთად, ვლადიმერ კერვალიძე მეტალურგის საქმის შესასწავლად გაემგზავრა „აზოვსკლამი“ და... საბჭოთა კავშირის გმირის — ვლადიმერ კურილოვის მოწაფე გახდა.

მასწავლებლის რჩევით თავისი ცოლი ზინა ანდრიას ასულიც გამოიძახა საქართველოდან.

— კარგი იქნება: ცოლი და ქმარი

ერთ დაზავზე იმუშავებთ, — ეუბნებოდა კურილოვი კერვალიძეს.

ნახევარი წელი სწავლობდა ვლადიმერ კერვალიძე თავისი მკაცრი და მზრუნველი მასწავლებლის ხელმძღვანელობით. როდესაც ზედმიწევნით დაეუფლა მგლინავის სპეციალობას, თავის საყვარელ რუსთავში დაბრუნდა. სახეშეცვლილი და გამშვენიერებული დახვდა მეტალურგთა ქალაქი.

საგლინავი საამქროს უფროს ოპერატორთა შორის ყველაზე ახალგაზრდა ვლადიმერ კერვალიძეა. ოსტატი თვიდან-თვემდე აუმაჯობებს თავის მიღწევებს; ერთი ბლუმის გაგლინვის ხანგრძლივობა ვლადიმერს 61 წუთამდე აქვს დაყვანილი, მაშინ როდესაც, საერთოდ, საათნახევარს უნდებოდა იგივე ოპერაციას.

ამას წინათ საბჭოთა კავშირის მეტალურგიულ მრეწველობის სამინისტრომ ყოველ ქარხანას დაუგზავნა ბროშურა, რომელშიც ჩქაროსანი მგლინავის კერვალიძის ნოვატორული მეთოდებია აღწერილი. ბროშურის დასაწყისშივე ვლადიმერს მოხსენებული ჰყავს თავისი საყვარელი მასწავლებელი და მეგობარი — ვლადიმერ კურილოვი.

ზინა კერვალიძეც საგლინავ საამქროში მუშაობს. იგი ქალაქის საბჭოს დეპუტატია. ასე რომ კერვალიძეების ოჯახი მუდამ საგნეა ნაცნობებით. ზოგი საწარმოო საკითხზე ბაასობს ვლადიმერთან, ზოგი — სპორტულ თემაზე, სხვებს — ქალაქის საბჭოს დეპუტატონა აქვთ საქმე. და როდესაც ცოლ-ქმარი რაიმე საკითხს ვერ გადაწყვეტს რჩევისთვის ვლადიმერ კურილოვს სწერენ წერილს ქალაქ უდნოვში.

ორივე ქარხნის პროფკავშირის მუშაკებმა უკვე იციან, რომ ვაგარის საგურები ერთდროულად უნდა მისცენ კურილოვის და კერვალიძის ოჯახს, ისე არ წავლენ...

ძლიერია ბრძოლაში და შრომაში განმტკიცებული მეგობრობა, უროდევნია საბჭოთა ხალხების ერთიანობა.

ი. მუხაძე





ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ტარას შევჩენკოს ძეგლი კიევში.

ფერადი ფოტო ვ. ლუკაშინა



ჩვენს წინაშე არსებობს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ეს არის საქართველოს სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფლების ერთ-ერთი მხარისგან წარმოშობის საკითხი. ჩვენს წინაშე არსებობს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ეს არის საქართველოს სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფლების ერთ-ერთი მხარისგან წარმოშობის საკითხი.

უკრაინის რუსეთთან შეერთების ისტორიული კეტის ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტი — რუსეთის მთავრობის სახსენის ტექსტი, აზოვდან ხმელნიკის სტატიების პირველი პუნქტზე.



შავლი (დოინა)

## პეკეიანსლავის შეკრებაზე

ზარები რევენ, თოღლი პრეჩენალებს, ცაზე ხაოლი მზე შინას ღალი, აერისოლეს ავსეს ხმარეი და მოღდებზე გაუქმდეს ხალხი, სუფო იმამ არა ეს არის ზუიმი დიდი დამნიოღების. მტრედებს ვენდი ცანი წავარდებს, ცანი ერუსესტორად ედავი ფრთხის, აი ტარჩიან ვამოლს ხალხთან ზოგად ხელსოცი ვმირი წაშელო, მას იან მოღდება დინეი სოიყეი რუსეთის ლოლად ვამოზენილი — უფურეი, მებო, ზედურლინა და მამოსი ერთად სავლითი მთლი, რა კარეი დევა, რაოიგ ნადელი, დღეს ჩვე ველანი სობორულ ველითი მაღლირე აღის დინჯად ეტენანი მას უინ ვეპა ჩინხე ხალხი და ვარი, აღსმევი დროვეს მაღლა ამართულს რძაგდა არბეს მუხებუი ქარი, ვუსეა ჩანის ხა, დიდუდა ხალხი და კახეები გავტყენენ სენხე გრინოეს — რუსეთთან დამეცობრითი ვე ზედობრი უნესი ედლა, ზოგად ხმელნიკეთ მარჯენა ხელით

ვერმანის ევრობი აღმართა მელია — ვერმანო დღეს სულასი ოქენ ვიხარით, ამ სობარული მიე ვიყოხობო ახლა! რადგან რუსეთმა ვამოიკეზენა ჩვენ წუგობი მკაცრე ვეპელო, დღეს მზე დავგანათის და მომავალიე ვეკუნხე უფრო ვამოიკელო, ვანავლელინი ვარი, მირეოსოი მებო, ეს ტარეკე ვეელას ვანასოტრებო, რადგან რუსეთი ჩვენი დიდილია დეიუთო მამან მჭირე ცობრება, მტრები ვეიტევენ არ ვასენენენ, ვეუოიკევენ სახლსა და კერას, ამბოტი ვენდეს რუსეთის ვოქია, მას ვანელი მედი და ველს ცაქრა! მოიკეტილი თუ არა სულასან — ვოლსა მარული დეკუქეუს მთღლეს, მსოციეი არის იმდი წეი, მსოციეისკენ წევი ვა მიღის დეპოლი ვარი სოიყეი, ვეილო ვარი სისხლით, და ვეუესი ორავეს სავთი მჭერი, აღტის ნაირზე უნდა წერიდეს და დამნიოღეს რივეი ვრი, და მოვამუ იმისი „ლილეი“, ზემოხს ხალხი, ამბოტი ვასე;

„ეს წეგობრობა და ეს გრინობა ჩვენს ველს უფლის სობითი ვიკესეს!“ რუსეთის ელმას, რის ხმევი დავცნა, ხალხს იე უსარებულს მინარია მჭედადე, რუსი ხალხსთან; იქენ წეგობრობა, მჭერი სავლინი ვამოიკელო წინდა! და ისე იეს იმისი „ლილეი“, ტუას უმამოლი მზე და ღლიერი, მსოციეიან მამოთ და მერსობოთი ვეკენბი მუდამ ჩვენ ზედობრი!“ და რუსია ილია აღვლეულე, სავტოხს ხალხთან დიუთად და წელია, და მისი სოიყეი, რუსულად თქვილი, სიტყვა ველურული ვარი ეველამ, და ერთადღედად ხალხის და ვარჩას მაღლა ისროლეს ტუფები ცამდე; დეკე ილბინის წეგენს ერობამ ამბოღად ვეცენისდე! ზარები რევენ, თოღლი პრეჩენალებს, ცაზე ხაოლი მზე შინას ღალი, აერისოლეს ავსეს ხმარეი და მოღდებზე გაუქმდეს ხალხი.

თარგმანს  
 ნიკოლოზ ნარიბაიძე

მარალ მსოციეიან, მარალ რუს ხალხსთანაა  
 მხატვარი შ. ხმელქოი  
 რეკონსტრუქციის  
 გეგმები



უკრაინის სსრ-ის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ასრულებს უკრაინულ გოპაკს.

ფერადი ფოტო ნ. კოვლოვსკისა



კარლო კალაძე  
გზამთხეში

ეროვნული  
ბიზლიროთეკა

პლატონ ვორონკოს

ჩვენი მგზავრობა ჰგავდა მაყრიონს,  
მთები — ნისლეში მოძრავ სურათებს, —  
ხან მტკვარს დაფყვეით დაბლა, ხან რიონს,  
დასაწყისიდან დასასრულამდე!

უკრაინული სიმღერა შენი  
იმ მთებთან ერთად, იმ ჩანჩქერებთან,  
ამაღლებული რწმენით და ლხენით  
უკრაინულად მეც მამღერებდა.

ფეხზე წამოდგა თითქოს მთა-ბარი, —  
ავაშრიალეთ ავტო-მარულით!..  
მაშინ ჩვენ შორის იყო თამარიც,  
აღფრთოვებული ამ სინარულით..

და აი, ახლა როცა მარტო ვარ,  
იმავე სურვილით გული ამეგსო,  
და მომენატრა მაღალფარდოვან  
მოკითხვის ნაცვლად.. მოგეაღერსო!

იმ გზებს კვლავ მინდა შევევლო თვალი,  
ვგრძნობ ის წუთები ისევ ღვივიან, —  
მინდვრებზე ჩვენი ღიმილის ალი  
ყაყაჩოდ ენთოს ბუნებრივია..

სიმღერა მისდევს მთებს ეხოებად,  
მოდი, გავსწიოთ ისევ იქითკენ,  
ჩვენი გზა დარჩა მთებში პოემად, —  
მოდი, ხელახლა გადაიკითხე!..



უკრაინის სსრ-ის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ასრულებს ქართულ ხალხურ ცეკვას „ხორუმს“.

ფერადი ფოტო ნ. კოვლოვსკისა





არა ერთხელ დავსწრებივართ კარგ სპექტაკლს... გულიანად გვიცინია, დავინტერესებულვართ, ან დავლონებულვართ ჩვენი საყვარელი პერსონაჟის ბედით. მაგრამ არა ნაკლებ საინტერესოა თეატრის კულისების ცხოვრება.

რა ხდება მაშინ იქ, როდესაც რუსთაველის სახელობის თეატრში, ანტრატის დროს, პროგრამებს ვფურცლავთ და ვსაუბრობთ მეგობართან თუ ნაცნობთან, რომელიმე სპექტაკლის, თუნდაც „ღონ სეზარ დე ბაზანის“ ირგვლივ.

აი რა ხდება იმ კარებს იქით, რომელსაც აწერია:

„სცენაზე გასასვლელი. უცხო პირთათვის შესვლა აკრძალულია“.

სცენაზე, ლურჯად მოლივლივე სივრცელები, ძირს წრიბინით ეშვებთან კედ-

მსახიობების საპირფარეოში გაფაციცებული მოძრაობა. კედლის გასწვრივ, სარკეებს მისხდომიან სპექტაკლის მონაწილეები. თვითღული სარკის წინ წყვილი ელნათურა კაშკაშებს.

აქ ამ კულისებში მოთავსებულია საგრიმორიო საამქრო, სადაც ჯაგრი-სით, მავშით, ყანისნალით ოსტატურად იქმნება პარიკები, წვერები, უღვაში, აი, მარკო დე მონტევიორთან (ბ. კობახიძე) დგას გრიმორი ზაალ ზაქარიას-ძე ურიგაშვილი. (სურ. 1) იგი ამთავრებს მარკოსის პორტრეტს.

ოცდაცამეტი წელია, რაც გრიმორის ჩუმ, რთულ ხელოვნებას ემსახურება ზ. ურიგაშვილი. თეატრის კოლექტივი ღილ პატისე სცემს მის დამსახურებას, რადგან იგი თავის საქმეს სრული პასუხისმგებლობით ეკიდება: ტიპის პორტრეტის შესაქმნელად, პრემიერამდე ერთი თვით ადრე სწავლობს იგი პიესის პერსონაჟებს, ეპოქას, კოსტუმებს; არა ერთი და ორი ათეული ბრწყინვალე სახე შექმნა ზ. ურიგაშვილმა ამ თეატრში მუშაობისას.

...და ვიდრე მარკო დე მონტევიორი (ბ. კობახიძე) ბრწყინვალე „მარგალიტებით“ შემკულ ჯუაზს შეიკრავდეს, ჩვენ ჩაივლიდა დიდი, პირველი სართულზე, სადაც „საზარელი“ ფარიკაობა განაღებულა: ღონ სეზარ დე ბაზანი—ესპანელი აზნაური, იმეორებს და ითვლის დარტყმებს ღონ ხოზე დე სანტარემთან — მეფის პირველ მინისტრთან.

მღელვარებითა და ყურადღებით აკვირდებიან ამ ფარიკაობას სტალიონური პრემიის ლაურეატები ა. ვასაძე (სწრ კავშირის სახალხო არტისტი) და მ. ჩახავა. და როდესაც გ. გეგეჭკორი დასასვენებლად ჩაეშვა სავარძელში, მათ თავის შთაბეჭდილება გაუზიარეს.

—საჭიროა კიდევ უფრო ღალად, თავისუფლად გეჭიროს სცენაზე თავი! — შენიშნა ა. ვასაძე და ამ შენიშვნას ყურადღებით ისმენს გ. გეგეჭკორი (სურ. 2).

კულისებში: მსახიობთა ბუფეტში, სცენაზე, მუსიკოსთა განყოფილებაში, დერეფნებში გაისმა რადიორებროდუქტორის ხმა:

„ვიწყებთ მოქმედებას! მობრძანდით მონაწილენი!“

ეს რეჟისორის თანაშემწის, გივი კვაჭაძის ხმაა.

ნ. ჩხეიძემ უკვე მოიხურა მეფის მოსასხამი.

პარტერში, იარუსებზე სინათლე გამოთიშეს. მაყურებელთა თავზე, ვეებურთელა, კაშკაშა ჭაღის ელნათურებმა დინჯად დახუჭეს თვალები.

დარბაზში აშრიალდა პროგრამები და სიჩუბე ჩამოწყდა.

...მოქმედება დაიწყო.



ლები. ეს ესაა დამთავრდა მოქმედება. სცენის მუშებს გააქვეთ დეკორაციები — მუყაოს აივანი, „გრანდის“ მოაჯირი, მაღალყელიანი შანდლები... აი მათ გაიტანეს სკვერდის ძვირფასი სუფრა, უბრალო ფიცრებით შეკრული მაგიდა... სცენაზე მღვარმა ერთ-ერთმა მარკოზმა (გ. ურუშაძემ) შესაძახა ესპანეთის მეფის, კარლოს მეორის:

— ნოდარ ჩხეიძე გრიმორთან!

ესპანეთის მეფემ მარკოზს მეგობრულად გადახვია ხელი და კიბეებით გაეშურა საგრიმოროსკენ. გაისმა მეორე ზარის წკრიალი, კიბეებზე ნერვიულად მოუკიდეს პაპიროს მეგობრებმა.



ვინც ცოტა მოგვიანებით ნახა ეს სპექტაკლი მაყურებელთა რეაქციის მიხედვით ადვილად შეამჩნევდა, რომ ბევრი მათგანი უკვე შეეჩვეოდა სპექტაკლს ამ წარმოდგენას. იმიტომ ეგებებოდნენ ტაშით მხიარულ, პათოსს ან მამაცდონ სეზარ დე ბაზანის პირველსვე გამოხვლას. სპექტაკლის დაწყებამდე კი ყურს მოჰკრავდით რომელიმე მაყურებლის ჩუმ ღიღინს; მან უკვე ზეპირად იცოდა სპექტაკლში ჩართული სიმღერებისა და ცეკვების მელოდია.

ეს ყველაფერი ლაპარაკობს იმაზე, რომ სპექტაკლმა მაყურებელთა მოწონება და სიყვარული დაიმსახურა.

„ღონ სეზარ დე ბაზანი“ პეროიკული კომედიაა. მისი დადგმა რომ წარმართული სუფთა კომედია ვაჩნობთ, შეიძლება ბევრი ეცინა მაყურებელს, შეიძლება გაეტაცნა გარეგნულ დეკორატიულობასა და მდგომარეობებისა და მოხანსცენების ეფექტიურობას. მაგრამ ასეთი სპექტაკლის მეორედ ნახვა აღარ მოუნდებოდა; აღარც გაეცინებოდა და ვედარც განიცდიდა ხელმეორედ უკვე ერთხელ ნახულსა და გავიწყობს.

დამდგმელმა დ. ალექსიმემ და შემსრულებლებმა სწორად გაიგეს პიესის იდეა, რომელიც ორგანიულად იქნა დაკავშირებული სპექტაკლის რეჟისორულ გადაწყვეტასთან. სპექტაკლის წარმატებაც ამაღ განსაზღვრა.

დრამატურგ დენერისა და მისი თანაავტორის, დრამატული თეატრის მსახიობის დიუმანუას პიესა — „ღონ სეზარ დე ბაზანი“ დაკერილია საფრანგეთის 1848 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის წინა დღეებში. პიესა პირველად დაიდგა პარიზის ერთ-ერთ დემოკრატიულ თეატრში — პორტ სენ მარტენში. მიუხედავად იმისა, რომ პიესის მომედების ადგილი ესპანეთში იყო გადატანილი, დრო კი — ერთი საუკუნით უკან, „ღონ სეზარ დე ბაზანი“ აშკარა მამხილებელ ხასიათს ატარებდა და მისი სატირა მეფის ფილიპის ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული. ამას გარდა, პიესაში ხმაყვლა გაისმა მოწოდება თავისუფლებისა, სიმამიცისა, პათოსებისა და ჰუმანურობისაკენ. პიესის სწორედ ეს ძირითადი ისტორიული მნიშვნელობა იქნა გახსნილი რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლში.

ჩვენს წინაშე ორი კონტრასტული საშყაროა — ერთი მხრივ ესპანეთის მეფე კარლ II და სამეფო სამსახურის ყველა დანარჩენი თანაშორაველი — მეფის პირველი მინისტრი — ღონ ხოზე დე სანტარემი, მარკო დე მონტევიორი ყველაზე მეფისსამართლად და სხვ. მეორე მხრივ „დემოკრატი ხალხთან დამოკიდებულებაში“, „მწაწალო — გრანდი“ — ღონ სეზარ დე ბაზანი, როგორც მასზე თქვა მ. გორკიმ, მარიტანა — თავისუფლებისმოყვარე ბოზა ქალი, ჰაბუკი ლაზარილი და ესპანეთის უბრალო ხალხი.

ღონ ხოზესა და ღონ სეზარის პირველივე შეხვედრის სცენა სპექტაკლში განმარტებულია, როგორც ამ ორი სამყაროს წარმომადგენელთა დაპირისპირება. გ. გეგეჭკორის თამაში, რომელიც ღონ სეზარის როლს ასრულებს, ბუნებრივადაა შესამებული როლის, როგორც პეროიკული, ისე კომიკური მხარე. ასე მაგალითად, ღონ სეზარი — გეგეჭკორი უამბობს ღონ ხოზეს, თუ როგორ დააპატიმრეს და გააძევეს მადრიდთან ინკვიზიციის ერთგული მსახურის ოლივარციის მოკვლის გამო და ამავე დროს ცნობისმოყვარეობით გაჰყურებს აივანს, რომელზედაც ახალგაზრდა სინიორა გადმომდგარა და იღიმება.

ღონ სეზარი — გეგეჭკორი უხმუნს სიკვდილით დასჯის განაჩენს და ამავე დროს მოუთმენლად უყურებს საათს — რა ტყუილ-უბრალოდ იკარგება ძვირფასა წუთები, მან ხომ კიდევ ერთხელ უნდა ინადიმოს სიკვდილის წინ. პირველად ჰკიცნის მარიტანას და ერთდროულად, შეყვარებულის ზურგს უკან, ხელით ანიშნებს ლაზარილის ოთახიდან გადით.

როლის ასეთი შესრულების წყალობით მსახიობი ძალას აღარ ატანს თავის გრძნობებს, თამაშობს რიტორიკული, პათოსური სიმშრალის გარეშე.

ღონ ხოზეს სახელს „შიშითა და ძრწოლით წარმოსთქვამენ მთელს ესპანეთში“. მაგრამ ღონ ხოზე — მ. თაბუკაშვილი ვერ იწყებს „შიშა და ძრწოლვას“. სამაგიეროდ მსახიობმა ნათლად გაიგო როლის ამოცანები, გააძლიერა „მეორე პლანი“ და ამის წყალობით შესძლო ღონ ხოზეს სოციალური დახასიათება, თუ იგი ახერხებს სუფთი მეფის მოტყუების, სამაგიეროდ მაძც და მოსაზრებულ ღონ სეზართან დაპირისპირებისას კრახს განიცდის. მაყურებელს ეჩვენება რომ თითქმის მსახიობი ღონ სეზარის მამხილებელი თვალებით შესცქერის ღონ ხოზეს, ასეთი შთაბეჭდილება იმის გამო იქმნება, რომ თაბუკაშვილი დიდი ტაქტითა და ზომიერებით ანიჭებს სახეს ცოტადღენ სატირულობას და როლი შეუმჩნევლად გადაჰყავს ხასიათიდან დამახასიათებელ თვისებათა გამოხატვაში.

პიესის სატირული ხაზის გაგრძელებასა და განვითარებას ემსახურება მარკო დე მონტევიორისა და მისი მეუღლის მხატვრული სახეები. მარკო დე მონტევიორის როლში მსახიობ ბ. კობახიძეს უნებუნებოდა და მიხვრა-მოხვრით ყველაფერი გროტესკამდე აქვს დაყვანილი, თუმცა სახეს სიცოცხლესა და სიწულეს უნარჩუნებს. მარკოსას როლში ძალზე ზუსტი და მეტყუელია ნ. ალექსიმესხიშვილი. ბ. კობახიძე, და ნ. ალექსიმესხიშვილი გამოირჩევიან შეწყობილი თამაშით. ისინი ავსებენ ერთმანეთს, როგორც სახის შინაგანი არსის გახსნისას, ისე გარეგნული დახასიათების დროსაც.

მარიტანას როლი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია პიესაში. ამ როლით გამოხატულია პიესის პოეტური უღერადობა და რომანტიკული არსი. სამწუხაროდ სპექტაკლში მარიტანა თ. თარხნიშვილის შესრულებით არასრულფასოვანი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, როლი აღემატება მსახიობის შესაძლებლობას. მარიტანამ ბევრი რამ უნდა გამოთქვას არა მარტო სიტყვებით, არამედ სიმღერითა და ცეკვებით, მაგრამ თარხნიშვილი ამას ვერ აღწევს.

ნ. ჩხეიძეს ესპანეთის მეფის კარლ II განსახიერებისას შეეძლო უკეთესი საღებავების მონახვა, როლის უკეთ გამოყვეთა და დახვეწა.

თავისი უშუალო და გულწრფელი თამაშით სიამოვნებას გავრძობინით ლ. ტყავაძე ლაზარილის როლში. მხოლოდ ცოტა უფრო თამაშად და „ბიჭურად“ უნდა შესრულდეს ეს როლი. მ. ჩიხლაძე კარგად გადმოსცემს სამეფო დაცვის კამიტანის ხასიათის უხეშობას, გაუთილებლობას და ამავე დროს უშუალობას.

კომედის დადგმისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სიმღერასა და ცეკვებს. სამწუხაროდ კომპოზიტორ ს. ცინცაძის კარგი მუსიკა შესაფერისად ვერ არის გამოყენებული.

შუასაუკუნეების ესპანურ სტილში შესრულებული დეკორაციები (მხატვლავიშვილი) ხაზს უსვამენ იმ ატმოსფეროს, რომელიც სცენური მოქმედება ვითარდება.

# საქართველოს თეატრები

## ახალგაზრდა მსახიობები



უკანასკნელ წლებში საქართველოს თეატრებმა საგრძობლად გააცხოველეს ახალგაზრდა მსახიობებთან მუშაობა. მრავალ კოლექტივში გაიზარდნენ და დაწინაურდნენ ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობები. პირველ რიგში მათ რიცხვს მიეკუთვნებიან თამარ თავაძე, თინათინ ტაკიძე-ორჯონიძე, ზურაბ ანჯაფარიძე, პეტრე თომაძე და შოთა კიკნაძე ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრიდან და ბაქრაძის თეატრიდან, ეროსი მანჯგალაძე და გიორგი გეგეჭკორი რუსთაველის სახელობის თეატრიდან, ელენე ყიფშიძე, მზია მახვილაძე და ედიშერ მალაღვილი

### ბ. ბაქრაძე

და მალხაზის პარტიების ჩინებულმა შემსრულებლებმა — ვანო სარაჯიშვილმა, ნიკო ქუმისაშვილმა და დავით ანდლულაძემ. იგი, ალბათ, სამუდამოდ შეინახავს თავის გულში ღრმა პატივისცემას და სიყვარულს დ. ანდლულაძისადმი, რომელსაც მცირე დამსახურება როლი მიუძღვის ზ. ანჯაფარიძის შემოქმედებითი გზის გაკვლევაში. „ჩემი პედაგოგი — სსრკ სახალხო არტისტი დ. ანდლულაძე. — წერდა „აბესალომ და ეთერის“ სპექტაკლის მომზადების დღეებში ზ. ანჯაფარიძე, — ამ დღეებში განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ჩემდამი, მებმარებოდა ჩემი საპასუხისმგებლო პარტიის ყოველი ფრაზის შესწავლაში“. და გაუმართლდა კიდევ იმედი გულისხმიერ პედაგოგს! მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, იგი ყვარჯენზე დაყრდნობილი მოვიდა თეატრში, რათა თავისი თვალით ენახა და საკუთარი ყურით მოესმინა ზ. ანჯაფარიძის პირველი გამოსვლა მალხაზის როლში. მისი გაბრწყინებული თვალები მოწმობდნენ, რომ მასწავლებელი კმაყოფილი იყო მოწაფის გამარჯვებით.

დ. ანდლულაძის და ზ. ანჯაფარიძის მაგალითი გამოაკლისი იოდა. თავისი თოფაყეებისადმი გულთბილი დამოკიდებულებით, მათი ვოკალური და სცენური დახელოვნებისათვის დაუღალავი მზრუნველობით ხასიათდება გამოჩენილი მომღერლის, სსრკ სახალხო არტისტის სანდრო ინაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა. მისი ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფეა შოთა კიკნაძე, საოპერო თეატრის ახალგაზრდა ნიჭიერი მომღერალი, რომელმაც უკანასკნელ წლებში თეალსაჩინო შემოქმედების წარმატებას მიაღწია. მან მოკლე ვადაში წარმატებით მოამზადა რამდენიმე პასუხსაგები პარტია. ინაშვილის მიერ აღზრდილი ახალგაზრდა მომღერლებიდან გამოირჩევა აგრეთვე პეტრე თომაძე, რომელიც წარმატებით გამოდის რამდენიმე ოპერაში.



ზ. ანჯაფარიძე მალხაზის როლში („დაისი“)

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრიდან. ყველა ესენი წარმატებით ეუფლებიან სცენურ ოსტატობას და გაბედულად იმკვიდრებენ თავის ადგილს ქართულ ხელოვნებაში.

კოლექტივთან მჭიდრო ურთიერთობაში მომწიფდა თამარ თავაძე-თავაძის და ზურაბ ანჯაფარიძის შემოქმედება. საოპერო თეატრში შესვლამდე ისინი თბილისის კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში გადიოდნენ პრაქტიკას, აქ მოამზადეს და იმღერეს პირველად ეთერის და აბესალომის პარტიები.

საოპერო თეატრში ამ პარტიებზე მუშაობა მათ მოუხდათ ნიჭიერი რეჟისორის ი. თუმანიშვილის ხელმძღვანელობით. ამან საშუალება მისცა მათ კიდევ უფრო ღრმად ჩასწვდომოდნენ თავიანთი გმირების სახეს, გამოეჩინათ ყველაზე მკაფიო გამომსახველობითი საშუალო-აღნი აბესალომისა და ეთერის ხასიათების გადმოსაცემად.

და მართლაც, ახალგაზრდა მომღერლებმა უდავო წარმატებას მიაღწიეს. რამდენი სიტბო, გულწრფელობა, მიმზიდველობა, ახალგაზრდული უმუალობა გამოსჭვივს მათს ვოკალურ და სცენურ შესრულებაში! როგორი კდემამოსილებით აღსავსეა თ. თავაძე-თავაძის შესრულებით უბრალო გლეხის გოგოს ეთერის სახე!

ზურაბ ანჯაფარიძეს წილად ხვდა ბედნიერება გააგრძელოს ის საუკეთესო ტრადიციები, რომელიც დაამკვიდრეს ჩვენს საოპერო სცენაზე აბესალომისა

სულიერ ძალას. ერთ-ერთი ასეთი სახეა ლილი ვ. გაბესკირიას პიესაში „გაზაფხულის დღა“. უცნაურად გადაკეთებულ პალტოში გამოწყობილ ამ უბრალო ქალიშვილის ხასიათში მსახიობმა დავანახა ისეთი მდიდარი სულიერი თვისებები, რომელთა მეოხებითაც იგი მაყურებლის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ პერსონაჟად იქცა.

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ნიჭიერი ახალგაზრდობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის მზია მახვილაძის მიერ უკანასკნელ დროს შექმნილი სცენური სახეებიდან ყველაზე საინტერესოა საბჭოთა თურქმენეთის თავისუფალი და ბედნიერი ქალიშვილის იაზგულის სახე სპექტაკლში „ოჯახის ღირსება“. მსახიობი გულწრფელი თამაშით და ფაქიზი განცდებით ნამდვილ ესთეტიკურ სიამოვნებას ჰპერის მაყურებელს.

კარგი შემოქმედებითი და სცენური მონაცემებით ხასიათდება ედიშერ მალაღვილი. იგი სულ ხუთი წელიწადია რაც სცენაზე მუშაობს და ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ დაწინაურდა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მის მიერ შექმნილი სახე კოლმეურნეობის თავმჯდომარე აკია ხუცურაულია, მ. მრეწველიშვილის პიესაში „ხარატანთა კერა“.

უკანასკნელად მან შეასრულა ახალგაზრდა მულატ ვლიამ სვარცის როლი კ. მიუფუკის პიესაში „ნვალინდელი დღე ჩვენი იქნება“.

ე. მალაღვილი კარგად გვიხატავს თავისი გმირის ხასიათს, მის შინაგან სამყაროს, მის თანდათანობით ზრდას ჭკვიან, განათლებულ მაგრამ ჯერ კიდევ აბოლიტიკურ ადამიანიდან თავისი ხალხისა და სამშობლოს ბედნიერებისათვის მებრძოლად.

მიმზიდველია ე. მალაღვილი კლასიკურ რეპერტუარშიც (შექსპირის „მეთორმეტე დღე“ და „ანტონიოსი და კლეოპატრა“).

ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობები მოიპოვებინ ყველა თეატრში, თეატრების ხელმძღვანელებმა, მათაგან რეჟისორებმა, რეჟისორ-დამდგმელებმა უნდა შექმნან მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები ახალგაზრდა აქტიორთა ნიჭის გაფრთხილებისათვის. საჭიროა თვითეული ახალგაზრდა მსახიობის შემოქმედებითი ზრდის შედმიწვევითი შესწავლა, თვითეული შემსრულებლისადმი ინდივიდუალური მიდგომა.

აქტიორთა და რეჟისორთა ახალი კადრების წომხედება, მათი პრაქტიკულად სწორად გამოყენება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. თეატრს მუდმივად უნდა ემატებოდეს ახალი ძალები, ახალგაზრდა შემომქმედი მუშაკის ბედი — ეს არ არის მისი კერძო საქმე და არც მარტო იმ კოლექტივის საქმეა, სადაც ის მუშაობს. საქმე ეხება ქართული საბჭოთა თეატრის მომავალს, და აქ პასუხისმგებელია ყველა — დირექტორიც, რეჟისორიც, კრიტიკოსიც, სპეციალური თეატრალური სასწავლებლის ხელმძღვანელც.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ახალგაზრდა მსახიობები მ. მახვილაძე და ე. ყიფშიძე მინოს პიესის „გარებებს არ ვახახელებთ“ რეპეტიციაზე.





# ქართული ენის გამოჩენილი მკვლევარი

შოთა ძიძიყარი

1923 წლის იანვარს მოსკოვში პროფ. ა. შანიძისათვის უთქვამს პროფ. კ. კე-  
კელიძეს: „რა იქნება, აკაკი, რომ სადმე, საქართველოში, ამოგორდეს ქვა მეექვსე  
საუკუნის წარწერით, ასე თხუთმეტიოდ სტრიქონით?“ ეს ის დრო იყო, როდესაც  
მე-9 საუკუნეზე აღრინდელი ქართული ხელნაწერები არ მოგვეპოვებოდა. ა. შანი-  
ძეს ასეთი პასუხი გაუცია: „სულ ხ-ანებით (ხ ასოებით) იქნება სავსე“ (იხ.  
„ტფილ. უნივერსიტეტის მოამბე“, ტ. 2, 1923 წ. გვ. 399).

ეს მეცნიერული წინასწარმეტყველება სულ მალე ახდა: თბილისში აღმოჩნდა  
მრავალსაუკუნოვანი გადარცხილ-გადაფხვილი ეტრატის ფურცლები, რომლებიც  
„ხ-ანებით არის სავსე“, ე. ი. ზმნის თავსართებზე ხ ბგერა თავიდან ბოლომდე  
გამოყენებული (ხიყავ, ხეტყოდა...).

უძველესი ტექსტების აღმოჩენამ ფართო პორიზონტი გადაუშალა ქართული  
ენისა და ლიტერატურის მკვლევარებს. ნათელი შეიქნა, რომ არაბთა შემოსევის  
წინა ხანებში, ე. ი. მე-7 საუკუნის ნახევარამდე, არსებული ქართული მწერლობა  
არ დაღუპულა ისე კატასტროფულად, როგორც ეს მანამდე ეგონათ. ამიერიდან  
შესაძლებელი გახდა მრავალი ბუნდოვანი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხის  
გარკვევა.

მეცნიერული ადლოს რეალური დადასტურების ზემოხსენებული მაგალითი ენათ-  
მეცნიერების ისტორიაში მიეკუთვნება იმ ბედნიერ აღმოჩენებს, რომლებიც წარმო-  
ადგენენ ენობრივი მასალის სწორი ანალიზით მიღებული ვარაუდის გამართლებას.

ენობრივი მოვლენების ფაქიზი ანალიზი, ფაქტებისადმი მკაცრი დამოკიდებუ-  
ლება, უტყუარი ლინგვისტური ალო, თეორიული განზოგადებები დამახასიათე-  
ბელია ცნობილი საბჭოთა ენათმეცნიერის — ა. შანიძისათვის, რომელიც მიჩნეუ-  
ლია ქართული ენის ავტორიტეტულ მკვლევარად.

ა. შანიძე ქართული საენათმეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი  
და ენათმეცნიერთა მთელი თაობის აღმზრდელია. ამასთანავე, იგი თბილისის უნი-  
ვერსიტეტის დამაარსებელთაგანია. ი. ყიფშიძე, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე — პირ-  
ველი პროფესორებია, რომლებმაც ჩვენში თავს იდგეს საუნივერსიტეტო კურსების  
წყაიფხვა ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგში.

ა. შანიძის მონოგრაფიული გამოკვლევა „პრეფიქსები ქართულ ზმნებში“ პირ-  
ველი დისერტაციაა, რომელიც საერთოდ დაცული იქნა თბილისის უნივერსიტეტში  
(1920 წ.).

ა. შანიძემ იმთავითვე მიზნად დაისახა ახალი ქართული ენის მეცნიერული გრა-  
მატიკის შექმნა. მის კალამს ეკუთვნის დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევები ქართუ-  
ლური ენების შესწავლის დარგში. ქართული ენის მორფოლოგიის შესწავლის  
სფეროში ავტორის სამ ათეულ წელზე მეტი მუშაობის შედეგები საბოლოო სახით  
შეჯამებულია ფუნდამენტალურ წიგნში „ქართული გრამატიკის საფუძვლები  
(1. მორფოლოგია)“, რომელიც პირველი მეცნიერული გრამატიკაა ახალი ქართუ-  
ლი ენისა. ამ გრამატიკის პრინციპებზეა აგებული შანიძისავე სასკოლო გრამატიკა,  
რომელიც წლების მანძილზე იხმარება ჩვენს საშუალო სკოლებში.

დიდი ამაგი დასდო ა. შანიძემ ქართული ცოცხალი მეტყველების, ქართული  
კილოების შესწავლას. ცნობილია მისი გამოკვლევები „ე. წ. მთის კილოების“ (ხე-  
სურული, ფშური და სხვ.) შესახებ. 1923 წ. გამოცემული ხევისრული ტექსტები  
სანიმუშოა ჩაწერის სიზუსტით, მრავალფეროვნებით და გრამატიკულ-ლექსიკურ

სიმდიდრით. ამას მოჰყვება ხევისრული პოეზიის მთელი ტომი (1931 წ.), რომ-  
ელშიც გადმოშლილია ხევისრული მეტყველების ნაირსახეობა და რომელიც ასე  
ფართოდ გვაცნობს საქართველოს მთის მდიდარ ზეპირსიტყვიერებას. ა. შანიძე  
ითვისებდა ქართული დიალექტოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო  
დისციპლინის, საფუძვლის ჩამყრელად.

ქართულ მწერლობაში ვაჟა-ფშაველა ერთი იმ მწერალთაგანია, რომლის მხატვ-  
რული შედეგები წარმოადგენენ ქართული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ამოუწურავ  
სიმდიდრეს. აკ. შანიძემ, როგორც ქართული დიალექტიკური ლექსიკის საუკეთესო  
მცოდნე, შეადგინა ვაჟას გრცელი ლექსიკონი და დაურთო, როგორც პოეტის აკა-  
დემიურ გამოცემებს, ისე მისი ცალკეული ნაწარმოებების მასობრივ გამოცემებ-  
საც. „ვაჟას ლექსიკონი“ განმარტებულია სიზუსტით და მასალის სიფართოვით მი-  
საზღაბია ქართულ დიალექტოლოგიურ ლექსიკოგრაფიაში.

აქვე მოვიხსენიოთ ა. შანიძის მიერ შედგენილი ძველი ქართული ლექსიკონი,  
რომელიც გიორგი მთაწმიდლის თხზულების ჯავახიშვილისეულ გამოცემას ერთ-  
ვის. ა. შანიძის თაოსნობით და რედაქციით გამოვიდა კაპიტალური წიგნი „ქარ-  
თული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი“ (ივ. იმნაიშვილისა), რომელშიც წარ-  
მოდგენილია ქართული სალიტერატურო ენის აღრინდელ ძეგლთა ლექსიკის უმ-  
დიდრესი მარაგი.

პროფესორ შანიძეს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ძველი ქართული ენის  
ძეგლების მეცნიერული პუბლიკაციის საქმეში. ა. შანიძემ ჯერ კიდევ ხანმეტ-პაე-  
მეტი ძეგლების აღმოჩენისთანავე გამოაქვეყნა უძველესი ეპოქის რამდენიმე მნიშ-  
ნელოვანი წერილობითი ძეგლი და ამით წინ წასწია ძველი სალიტერატურო ქარ-  
თულის შესწავლა. 1944 წელს ა. შანიძე ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიე-  
რებათა აკადემიაში დაარსებულ გამოცემათა სერიას „ძველი ქართული ენის ძეგ-  
ლები“, რომელიც მოწოდებულია მკითხველს მისცეს ძველი სალიტერატურო ქარ-  
თულის მეცნიერულად დადგენილი ტექსტები ლექსიკონით და გამოკვლევებით.

ა. შანიძემ აღმოაჩინა და გაშიფრა ალბანური ანბანი, რომელიც დღემდე მეც-  
ნიერებაში ცნობილი არ იყო. ალბანელები კავკასიაში წარმოადგენდნენ მესამე დიდ  
ეთნიკურ ელემენტს და საკმაოდ დიდ როლს ასრულებდნენ ძველად და საშუალო  
საუკუნეებში, თვით მონღოლთა ეპოქამდის. ალბანური ანბანი დაკარგულად ითვ-  
ლებოდა და ამჟამად ის ცნობილია ა. შანიძის მონოგრაფიის წყალობით, რომელიც  
1938 წელს გამოაქვეყნდა.

დიდი შრომა გასწია ა. შანიძემ რუსთაველის უკვდავი ქმნილების პირველი  
(ვახტანგისეული) გამოცემის აღდგენისათვის. 1937 წელს გამოვიდა ვახტანგის  
გამოცემა თავდაპირველი სახით, რომელსაც ერთვის ა. შანიძის ვრცელი გამოკვლე-  
ვა. ამ წიგნის აღდგენით ფარდა ეხდება იმ საიდუმლოებს, თუ რას წარმოადგენდა  
ვახტანგისეული გამოცემა მასზე აღრინდელ ხელნაწერებთან დაპირისპირებით.

ძნელია პატარა წერილში სრულად დაფასდეს ის ღვაწლი, რომელიც მიუძღვის  
ჩვენი ენის მეცნიერულად შესწავლის დარგში დაუღალავ მკვლევარს ა. შანიძეს.  
ვიტყვიით მხოლოდ, რომ მას წილად ხვდა ახალი ხანა დაეწყო მრავალსაუკუნოვ-  
ნი ქართული სალიტერატურო ენისა და მისი დიალექტების კვლევა-ძიების ისტო-  
რიაში, მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა ახალი ქართული ენის მეცნიერული გრამა-  
ტიკისათვის.

# ქართული გრამატიკის

## საფუძვლები

წ. ჭაბუკიძე

პროფ. ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ (მორფოლოგია), რომელიც გასულ წელს გამოსცა სტალინის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, წარმოადგენს მრავალმხრივ საყუარადღებო, კაციალურ ნაშრომს; ეს არის ქართული ენის პირველი მეცნიერული გრამატიკა, დაწერილი დიდი სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების შუქზე.

„ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ შეჯამებულია ჩვენი ენათმეცნიერების ბოლოდროინდელი მიღწევები ქართული ენის კვლევის დარგში, რაშიც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის თვით წიგნის ავტორს ა. შანიძეს. თითქმის ოთხი ათწლეული წლის მეცნიერული კვლევა-ძიების პროცესში აკად. ა. შანიძემ ნათელი მოპოვინა ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურის არა ერთ ბუნდოვან მხარეს.

ცნობილია, რომ ქართული ენის მორფოლოგიური აგებულება რთულია. ამ სირთულეს ქმნის ძირითადად ზმნა, კერძოდ, ზმნის მრავალპირიანობა, ე. ი. ის, რომ ზმნაში ერთდროულად შეიძლება რამდენიმე პირი იყოს გამოხატული. ეს სირთულე დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა აუხსენელი და დაუძვეველი. ქართული ზმნა დიდხანს რჩებოდა გამოცანად გრამატიკოსებისათვის.

მრავალპირიანობა ქართული ზმნისა პირველად დ. ყიფიანმა შენიშნა, მაგრამ ვერ შეესალმა მისი სათანადო მეცნიერული ახსნა. ამ მოვლენის მეცნიერული ახსნა და კანონზომიერების დადგენა იქ, სადაც ყოველი ზმნა უკანონო ეჩვენებოდათ, მოცემული იქნა ა. შანიძის მონოგრაფიულ გამოკვლევაში „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (1920 წ.).

ქართული ზმნის ამ ძირითადი სირთულის დაძლევის შემდეგ შედარებით ადვილად გაირკვა მასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც და დადგინდა იქნა მთელი რიგი ახალი გრამატიკული კატეგორიები (ქცევა, ასპექტი, ჯერობა, მჭრისი და სხვ.). ამ კვლევა-ძიების შედეგები შეჯამებულია ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“, რომელიც პირველად 1942-43 წლებში გამოქვეყნდა ორ ნაკვეთად (უფრო ადრე, 1930 წელს, გამოვიდა ა. შანიძის ქართული გრამატიკა შედარებით მცირე მოცულობით).

ამჟამად გამოქვეყნებული „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ ნაწილობრივ იმეორებს წინა გამოცემას (ეს ნაწილიც საკმაოდ შეესწორებული და შეესხმულია), ხოლო მისი მეორე ნაწილი კი ახლადაა დაწერილი. ამრიგად, ამ წიგნის სახით მკითხველმა პირველად მიიღო ქართული ენის მორფოლოგიის სრული კურსი, რომელშიც დაწვრილებულია განხილული როგორც სახელები და ზმნები, ასევე სახელწმინდე და უდებურები (ე. ი. დანარჩენი მეტყველების ნაწილები, რომლებიც არც სახელებში შედიან და არც ზმნებში).

ნაწილობრივ წარმოდგენილი არა მარტო ამა თუ იმ გრამატიკულ მოვლენის აღწერის ანალიზს, არამედ სათანადო მეცნიერულ ახსნასაც აძლევს მას. წიგნში სათანადოდაა ახსნილი ჩვენი კლასიკოსებისა და ახალი სალიტერატურო ქართული ენის ფუძემდებლების მიერ ნახმარი ესა თუ ის ენობრივი ფორმა. სწორადაა მოშველიებული როგორც ძველი ქართულის, ისე მონათესავე ენათა (ქანურ-მეგრულისა და სვანურის) მონაცემებიც. მთელი რიგი მოვლენების ისტორიულ-შედარებითი განხილვის გზით მშვენიერადაა დასაბუთებული ი. სტალინის დებულებები ენის გრამატიკული წყობის გამძლეობისა და ენაში რაოდენობრივ ცვლილებათა თანდათანობითი დაგროვების შესახებ. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა, მაგალითად, წიგნის ის ნაწილი, სადაც დაწვრილებულია განხილული ასპექტის კატეგორიის ცვლა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის მთელ მანძილზე. ასევე საინტერესოა თავისებური უღლების ზმნები, რომლებიც წიგნში პირველადაც ასე ფართოდ განხილული (საკმარისია იქვეას, რომ თავისებურ ზმნათა ანალიზს აქ 60 გვერდზე მეტი უჭირავს).

შედარებით მოკლედაა განხილული სახელწმინდეები, ზმნიწვლები, კავშირები და ნაწილები. სასურველია შემდგომისათვის ამ ნაწილის გვერდობა. არ იქნებოდა, მაგალითად, ზედმეტი მიმდებლობა დაჯგუფების წარმოების საშუალებების მიხედვით.

წიგნის ერთ-ერთი ღირსებაა გზადაგზა მრავალი გრამატიკული ფორმანტისა და სიტყვის ეტიმოლოგიური ანალიზი. ასე მაგალითად, მაღალია და მდაბალიის შემხრისპირების გზით ავტორი ადგენს, რომ „ღმრთის“ წიგნის პირვანდელი სახე უნდა ყოფილიყო დაბ, რომლის ძველი მნიშვნელობა „მთა“ — დაცულია სვანურში; დაბ — „ყანა, სახნავი მიწა“ (შეად. აგრეთვე ქართ. დაბა). სიტყვა ხვედრი, ავტორის აზრით, მიღებულია ხაოედისაგან (=ხაო-ხანს), ორავალი არავალი-ხანს, ისევე როგორც ხრამული მდ. ხრამის სახელსაგან და ა. შ.

ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ მაღალ მეცნიერულ დონეზე დგას. ეს წიგნი ქართული მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძინია.



„ჯვარის“ გამოქვაბულში ასვლა.

### საქართველოს უკველას გამოქვაბულთა ნაგებობანი

სამთო მშენებლობა ძველთაგანვე ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ერთ-ერთი მეტად საინტერესო დარგია.

ამჟამად დარჩენილი უძველესი გამოქვაბულები და გვირაბები ვარძიასი, უფლისციხეში, შორაპანში, ნოქალაქეში, ჭიათურაში, შიო მღვიმეში, კახეთში, რაჭაში და სხვ., ასახევენ ჩვენს წინაპართა მაღალ ხელოვნებას მიწისქვეშა და კვლევთა დამუშავების საქმეში.

1953 წლის ზაფხულში გამოვიკვლიეთ ჭიათურის 8 გამოქვაბული და შიო მღვიმეში 4 გამოქვაბული.

ჭიათურის გამოქვაბულებია: ჯვარი, პასიეთი, მღვიმევი, კარიანი კლდე, აკვანა, წილითი № 1, წილითი № 2 და წილითი № 3. ეს მხოლოდ ერთი მესამედი თუ იქნება ჭიათურის გამოქვაბულთაგან; რაც შეეხება შიო მღვიმის ანსამბლს იგი, როგორც მტრისათვის მიუწვდომელი სტრატეგიული ქალაქი, ვარძიას ძეგლის გვერდით უნდა დავაყენოთ.

ჭიათურისა და შიო მღვიმის გამოქვაბულთა შესწავლა დავიწყეთ ჭიათურელ მთამსვლელთა მონაწილეობით, ექსპედიციაში შედიოდნენ ჭიათურელი ამხანაგები: ინჟინრები ანდრო ფიფია და ნოე ჯაფარიძე, ასალგაზრდა მთამსვლელები: გოდერძი სამხარაძე, ბიჭიკო აბაშიძე, ვარდენ გოცაძე, ალექსანდრე გოგებრაშვილი, ვაჟა წერეთელი, ვლადიმერ მოდებაძე და რევაზ ლექვაძე. ჯვარის გამოქვაბული ჭიათურაში სამსართულიანი სათავსოა, სადაც 7 ოთახია 75 კვადრატული მეტრის ფართობითა და 165 კუბური მეტრის მოცულობით.

ხელოვნურ და გაფართოებულ გამოქვაბულთა შიგნით კლდოვანი და კონგლომერატული ქანების მრავალ სართულში და გვირაბებში დიდი მასშტაბით დამუშავება მოწმობს, რომ ეს გამოქვაბული შესაძლებელია დამუშავებული იყოს მონური შრომით, ხოლო ადგილობრივი მთიანი პირობები, რელიეფი და სათესი მცირე ფართობები გვაფიქრებინებს, რომ ზოგიერთი გამოქვაბული მაგალითად „წილითი“, ეკუთვნის მომთაბარეობისა და არა მიწათმოქმედების პერიოდს.

გამოქვაბულებში არის დიდი ქვევრები წყლისა თუ ღვინის მარაგისათვის,

რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს სახიზნო ადგილები ხანგრძლივად ყოფილა გამოყენებული. ამასვე მოწმობს გამოქვაბულების დიდი ტევადობა, რაც მიღწეულია გრძელი გვირაბების სისტემით. მაგალითად წილითის გამოქვაბულში გვირაბების სიგრძე 200 მეტრს აღწევს ხოლო კლდის სამუშაოთა მოცულობა 15 ათას კუბურ მეტრს, აქვე არის ათქული თაღები და კოლონა.

აკვანას გამოქვაბულში — ჭიათურაში, მოცემულია ნაშთები, რომლებიც მოწმობენ დამთავრებული ხის კონსტრუქციების, გალერეებისა და ხის აივნების კონსტრუქციებს. სახელდობრ წითელინის (ურთხმელას) ძელი კონსოლები ბუნებრივად მოღუნული ტოტით და იქ კვალი ღრუებისა უღვდომი, გვიჩვენებს, რომ არსებულა თარაზული და ვერტიკალური ძელებით ხის გადახურვა. აქვე ჩანს კლდოვანი ქანების მრავალსართოლოვანი დამუშავება და კლდის ფილების გამოთლა სართულთაშორის.

აკვე უნდა აღინიშნოს ძნელ პირობებში რამდენიმე ათეულ მეტრზე გამოქვაბულ „ჯვარში“ ასვლა. მთის ზედავადიდან დამატარებული ორი ბაჭარი, ერთი დაბნულ მთამსვლელს ჩაუშვებენ, ხოლო მეორე „ბაგირი“ მისი მიმართულების მიმდევარა, რომელსაც მთამსვლელი ჩაყვება. გამოქვაბულში ორი მთამსვლელი უშვება, რომლებსაც შემდეგ ქვევიდან ჩვენ აყვავდით გამოქვაბულში. მატერიალური ნაშთები, რომლებიც გამოქვაბულში აღმოჩნდა, ამტკიცებს სამშენებლო შეპირებების კულტურას, მაგალითად შიო მღვიმეში სრემოვანი კედლები შელესილია სხანართი. კედელს სწორი ზედაპირი აქვს, ხოლო სხნარი წარმოადგენს კირისა და ლიოსისებრი თიხამიწის ნარევეს, სხნარში სიმტკიცისათვის შერეულია ბზე.

შიო მღვიმეში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი გვიჩვენებს ჩარხზე თიხის გამოქმენის კვალს, კარგ გამოწვას და სიმტკიცეს. თიხის ჭურჭელი გარედან გაზოლილია ფრაგმენტებით, ჯამბვ ერთნაირი მოხაზულობისა აქვს. აღმოჩენილია ლურჯა და მხიანკისფერად მოყვითალო ქაშანიტო მოჭიქული ჯამბი, გეოპეტრიული მხაზველობითი სქემებით თანსწორგვერდებიანი სამკუთხედებით, რომელსაც დმანურ ტიპს მიკუთვნებენ (XI — XIII ს.). უფრო აღრინდელია წილითის წითლად მოჭიქული კერამიკა. ყოველთვის ეს მოწმობს კერამიკული წარმოების იმ დროის მაღალ დონეს. შიო მღვიმეში რამდენიმე ასეული გამოქვაბულია. მარტო ერთი ოჯახის ოთხ გამოქვაბულში 10 ოთახია, 300 კვადრატული მეტრი ფართობითა და 1500 კუბური მეტრის მოცულობით.

ჭიათურაში, მღვიმევის გამოქვაბულში აღმოჩენილია ისრები, ფერადი რომბული ფრაგმენტები, სპეციალისტების დასკვნით ისრები ქართულია და განსხვავდებიან, როგორც არაბული, ისე მონღოლური ისრებისაგან. ისრები ლითონის მახვილები აქვს წვერზე, ხოლო ლარის მოსაზიდი კარგი ხარისხის ძელი-საგან გაუკეთებიათ.

შიო მღვიმეში შელესილ ერთ-ერთ სათავსოს კედლებზე მრავლად არის ფრესკები მეტი ლურჯი საღებავით შესრულებული. ამავე სათავსოში აღმოჩენილი ფიჭვის ხისაგან გამოთლილი შანდალი მოწმობს, რომ შესაძლებელია აქ სამლოცველო იყო.

დიდი სიმაღლის კლდეებში მოთავსებული გამოქვაბულებში ასვლა-ჩამოსვლა მოითხოვდა დიდძალ მაგარ ბაჭრებს, რომელთა სიგრძე თუნდაც მარტო ჭიათურისა და შიო მღვიმის გამოქვაბულთათვის 10-15 ათას მეტრს მიაღწევდა, რაც მოწმობს ჩვენში ბაჭრის დამზადების მეურნეობას. გამოქვაბულში აღმოჩენილი თითისტრები კი ამტკიცებს ქსოვილის მეურნეობას, ხოლო ქვის ქანების დამუშავების კვალი ალბუქდაეს ქვის დასამუშავებელი მახვილი იარაღებისა და საერთოდ ლითონის წარმოების იმ დროინდელ მაღალ დონეს.

დოცენტი **დ. მშენიანიძე**

აყი შანიძე

## ქართული გრამატიკის საფუძვლები

### გაქან ბარაქალიძე

### მთხრობა

მანქანაში დიდი ხანა რაიონული ცენტრი დასტოვა. უკვე დაღამდა.  
ახლა გზად აგრონომი ლევან იაშვილი კაბინაში იჯდა, შოფრის გვერდით. ჭაბუკი შოფერი თავის-თვის ლილინებდა რაღაცას. ფარნების შუქზე ხახხახებდა ტრიფოლიატის ცოცხალი ლობები. აქა-იქ გამოჩნდებოდა დაგვიანებული საქონელი და გზის პირის გარედებული გოგო-ბიჭები წყნალი ხელში. შოფერი ქორის შუბლზე ჩამოწოლიდა, საყვირის მისცემდა და თავგამებულად გრიალით ჩააქრო-ლებდა მანქანას. ცოტა ხნის შემდეგ ძაღლების ყეფა თუ მოაღწევდა შორიდან.  
საღდაც ახლო, სულ ახლო თვლემდნენ ღამის საბურველი გახვეული მინდვრები.  
ლევანი ფიქრებს უავთო.

ახლა, როდესაც უკან დაბრუნდა ტრესტში მუშაობის დღეები და ვიბიში სოფელ ნარინჯოვანის კოლმე-ურნეობის საგზურად ედო, ლევანი თავს ისე გრძობდა, როგორც ნორჩი ნერვა ხანგრძლივი წვიმის შემდეგ. თვალში დაუღუპა სავეგმო განყოფილების თეთრი ოთახი, მძიმე მაგიდები, გატენილი კარადები, მანქანების ჩაკაუნები... საათობრივი იჯდა ლევანი იმ ოთახში, უმიზნოდ ქვედა საქმიან ქაღალდებს, რომ-ლებიც მას ძალიან ცოტა გაეგებოდა, სიმწრის ოფლს იწმენდა და სტანდარტად იმის შეგება, რომ იქ შედგებოდა ტვირთი იყო. უფრო მეტიც: მოსა-ბეჭდებელი ტვირთი. განა არა? სარდლიო გაგნიძე. — მუდამ საქმეში გაერთიანი, გამოცდილი ენერგი-ული მუშაკი, მის პირდაპირ რომ უფლა მაგადან, — ისე გამოხედვდა, ისე აიბეჭდებდა ტურებს, თითქოს ცხვირზე ბუზი დასჯდომიყო. ხანდახან წახეხარე-ბოდა კიდეც, მაგრამ... კაცმა რომ თქვას, ლევანს არც გული შქონდა ის საქმეზე და არც მისწრაფება. დაათვრა თუ არა ინსტიტუტი, დეიამ არ ინდომა მისი თბილისიდან გაშვება. საქმეში ჩაერთვნენ გაველ-ნიანი ნათესავები. ატყდა ტელეფონების წარუნი... ლევანი გრძობდა, როგორც შაქრისა და შაქარი, როდესაც დედის უწონ დაუნებებს დაჰყვება. ფანჯრებს იქით, შორს, დაოქროვითი მინდვრები ეგულეობდა, ნიადაგი ამრავლებოდა ჩაის ბუჩქები — ბავშვობი-დანვე რომ შეიყვარა სოფელში, ბებიასთან. ესმოდა ძახილი მინდვრებისა, აგერ სინელით გახვეულნი რომ სოფლებში.

გახდა. დადარდიანდა. ლაპარაკს სულ გადაეგვიდა. ისედაც სიტყვაძვირი. სამსახურში მას ჯერჯერობით ითმენდნენ, მაგრამ სანამ უნდა გაგრძელებულიყო ანე? რატომ? რისთვის? მერე ეს სარდლიო, მახინ-ლებელი სინდისივით რომ უფლა პირდაპირ. რა მძი-შე იყო ყოველივე ეს, რა დამამკობებელი... უცნაუ-რია. მაგრამ ისევ სარდლიომა უფელია. ერთხელ, თითქოს შემთხვევით, უთხრა ლევანს: „აი, დღეს სა-მინისტროში, ასეთ ამბავს შეგესწარი: ერთი კოლმე-ურნეობის თავმჯდომარე იქაურბაბს იკლებდა, იძ-ლევით თუ არა აგრონომსო... ორი კვირა კოლმე-ურნეობა უაგრონომოდაო. ძლივს დააწვიდეს თავ-მჯდომარე. დაპირდნენ, რა ჰქნას სამინისტროში. ისეთი დროა, ახალი კადრები ყველა განაწილებულია, უკვე ადგილებზე არიან. ძველები მით უმეტეს... რა უნდა ჰქნას სამინისტროში, ჰა? თავმჯდომარემაც რა ჰქნას, ჰა?“ — იკითხა მან და თვალბეჭეში შესცივინა ლევანს. ის იყო და ის... გაეღიმა. გაახსენდა უკანასკ-ნელი სცენა, როდესაც დედის საგზური აჩვენა და გადაჭრით განუცხადა: რადგან თბილისში არც ციტ-რუსები მოჰყავთ და არც ჩი, სამუშაოდ სოფლად მივდივარო. ამჯერად აღარაფერი გაუფიქრა დედის. ლევანმა ცივად უარყო თხოვნა, დაპირებებიც, მუ-ქარაც... მამა, როგორც ყოველთვის, საქმეში არ ჩაე-რია. მან გაზეთი აიღო და განსაკუთრებული გულის-ყურით შეუღდა კითხვა. როდესაც იმედდაკარგული დედა უნუგეზოდ მიესვენა სავარძელში, მამამ გაზე-თი ჩამოსწია და მოწონებით გაუღიმა ლევანს.

### \* \* \*

მანქანა ელექტრონის თვალბეჭეში ჰქვედოდა სინე-ლეს. კაბინის წინა ფანჯარას წვიმა უშხაუნებდა. არკილი სინათლეზე მოჩანდა, როგორ ცეკვავდნენ მიწაზე მსხვილი წვეთები. შოფერმა მარჯვენა ხელი ბერკეტს ისე შეახო რომ დილინი არ შეუწყვეტია და მანქანაში სრული სისწრაფით გასწია. ჯერ ელნათუ-რებით გაშუქებული ოდები გამოჩნდა, შემდეგ კი ძაღლების დავდავი გაისმა.

— ესეც თქვენი ნარინჯოვანი... — თქვა შოფერმა და სიჩქარეს მოუკლო.

მანქანა სოფლის მოედანზე გავიდა, ქვეტირის შე-ნობებს ჩაუარა და უსარამზარო მანოლიის ქვეშ დადგა.

კოკისპირულად წვიმა, ხანდახან სუსტად გაიელ-ვებდა და ყრუ ქუხილი ისმოდა.

ლევანმა თავის მაკინტოშს დახედა. „საწვიმარის შეძენა დამპირებული“ — გაიფიქრა.

შოფერმა კაბინის კარი გამოაღო და შორიანლო ორსართულიანი შენობა დაანახა:

— იმ სახლო კოლმეურნეობის გამგეობა და აღ-მასკომია. შუქი კი მოჩანს, მაგრამ ახლა იქ არავინ იქნება, გვიანაა...

ლევანმა არაფერი უპასუხა, ჩემოდანი აიღო და ძირს ჩავიდა. ხის ქვეშ, მუდრუში გაჩერდა. ახლო-მახლო აღმინანს ჭაჭანება არ ჩანდა. მაგნოლიას ფოთლებში წვიმის შრიალი ისმოდა. შარაზე ტლაპო-ები გამდარაყო. „უაზბეგი“ ამოიღო, შოფერს მია-წოდა, თვითონაც მოუკიდა და სიამოვნებით გააბო-ლა.

— იფ! — ღრმა ნაფაზი დაარტყა შოფერმა. — ძვირფასი პაპიროსია, მე მინც „პრიმა“ მირჩენია. რას იზამ, რასაც შეეჩვევი — ის გირჩენია...

ისეთი ნეტარებით ეწვეოდა და თან ისე მანქანადა უწვერულ თითქმის დავაურ სახეს, რომ ლევანს უნებურად გაეღიმა.

— კარგ სოფელში გაუმშენებიათ. ნარინჯო-ვანი მშვენიერი სოფელია. — განაგრძობდა ლაპა-რაკს გუნებაზე მოსული შოფერი. თავმჯდომარე ცოტა ფიციკი კია, სამაგიეროდ მარჯვე ვაჟკაცია.

კვიმატად თვალი ჩაუტრა ლევანს და თითქმის კბილებში გამოცხრა:

— არც ბუნებისკარგები ვართ ნაკლები... ჩვენს კოლმეურნეობებს შეგობრი აქვს ერთმანეთში. წელს, მაგონი, ჩვენ გვრჩება გამარჯვება, ჰა, როგორ ფიქრობთ? სადაც თქვენი სიტყვით ნარინჯოვნი-ლებმა, იქ ბუნებისკარგებსაც ნუ დაივიწყებთ.

ლევანს გაეხარა ამ ქაბუკმა ნარინჯოვნიულად რომ ჩასთავლა უკვე. შოფერმა მოტორი ჩართო და აძ-რული მანქანიდან მოაძახა:

— მარტო სახელი რად ღირს: ბუნების-კარი... თვალს მიეფარა მანქანის უკანა, წითლად მოკიანევი სინათლეც:

უეცრად გაიელვა. შემდეგ გამოყრებული ქუხილი გაისმა და მუხმა ნაწვეტ-ნაწვეტად გადაიარიალა. ლევანმა მაკინტოშის საყელი ამოიწია, ქუდი ჩა-მოფხადა, ჩემოდანს ხელი დააფლო და თითქმის სირბილით მიაშურა კოლმეურნეობის კანტორას.

აივანზე ისე ავიდა, არავინ შეხვდრია. შიგნიდან ხმამალალი ლაპარაკი მოესმა. კანტორაში მუშაობ-დნენ. ჩემოდანი კუთხეში დადო და ფრთხილად დააკაუნა.

— შემოდით! — მოესმა მას.

კარები შეაღო. გრძელ მაგიდას რამდენიმე კაცი უსხდა. ბიუ-როსთან მჯდარმა მხარბუქიანმა, გრუჭკორჩიანმა თავმჯდომარემ გაცეხით შეხედა ლევანს.

— ვინ გენბავთ? — იკითხა მან.

სხვებმაც მოხედა, თავმჯდომარის გვერდით ქა-ღარა კაცი წამოდგა. მან პასუხს არ დაუცადა, თავ-მჯდომარეს მიმართა:

— ამხანაგო, ეგ ჩვენი ახალი აგრონომი უნდა იყოს. — უცბად ლევანს მოუბრუნდა და მკვახედ შეეკითხა — ასეა, ხომ, ამხანაგო?

ლევანს თვალში ეცა მისი ახალგაზრდული გარ-ეგონბა და მტკიცე, შავფერებან სახესთან შეუფერ-ებელი თოვლივით თეთრი თმები.

— დიას, აგრე გახლავთ, — დაუდასტურა მან.

ქალარამ მკვირცხლად შემოუარა მაგიდას, მივიდა და ხელი გაუწოდა:

— კეთილი იყოს თქვენი მოსვლა. კოლმეურნეო-ბის პარტორგი დავით ძნელაძე... გაიცანით ამხანა-გები, ჩვენი გამგეობა.

თავმჯდომარე წამოდგა.

— თქვენ თბილისელი ხართ, ყმაწვილი, არა? — თქვა მან, მძღავრად ჩამოართვა ხელი და გამჭოლი თვალბეჭით ახედ-დახედა. „ძალიან აზიზი ვინმე ჩან-ხართ, — ამბობდნენ თვალბეჭე — ვნახოთ, საქმეში რო-გორი იქნები“.

ლევანმა მოურიდებლად გაუსწორა ხედვა გოლიათ თავმჯდომარეს და ის იყო უნდა უპასუხა, რომ კი-ბებზე ჩქარი ნაბიჯები გაისმა და ოთახში ქაქანით შემოიჭრა წვიმაში გალუმბული ქალიშვილი. იმავე

წუთს ღია კარბეში თვალისმომჭტლად იცოდა.

— მამა! მამო! — მიაძახა ქალიშვილი ძნელად-ძეს — ჯადარს მეხი... საწერებს... მერე თავმჯდომარეს მიაშურა — ჩქარა! უშველეთ...

— რაო, კაცო?  
— მებხი დავიკო?  
— რას დეცა მებხი, ჯადარს თუ საწერებს?  
— დამშვიდდით, მარტიკა, კარგად გაგვაგებინე რა მოხდა...

მარტიკამ როგორც იქნა სული მოიბრუნა და გააგე-ბინა: მებხი დეცა ციტრუსების საწერებსთან რომ ჭა-ღარია. ნახევარი ჯადარი მოსცდა და საწერის სა-ხურავზე ჩამოწვა.

ყველამ კარბეს მიაშურა. წვიმა ძვალ-რბილში ატანდა. ლევანმა ნაჩქარევად ამოიტოტავა შარვალი და ცდილობდა დავითს არ ჩამოჩინებოდა. იქვე მარტი-კა მოიჩქაროდა.

— ხომ ვეუბნებოდი, — ისმოდა წვიმის ხმურში თავმჯდომარის ხანი, — ხომ ვეუბნებოდი აპოლონს, ეგ ჯადარი რაღაც უბედურებას გადაგვიტანს-მეთქი. წავიდეს ახლა და ილექსასო... „ოხ, ბუნების მშვე-ნება“... „ოხ, ბუნების აძაყი შვილი“... — წრიაბინა ხმით გამოაჯავრა მან ვილაცას, აღბათ, აპოლონს — ხომ დაილუბა ნამყენები.

— დამშვიდდით, ვანო, — გაისმა ძნელადის წყნარი, ოღნავ დამცინავი ხმა. — პატივემუღმა აპოლონმა უკვე სამი კვირა ბარტი აიკრა, ასე რომ ამირიდან ვეღარ მიწვდები. სადგური ჩვენც შეგვემოლო იმ ჭა-ღრიდან მოშორებით ავეშენებინა. თავის დროზე არა-ვის მოგვივია აზრად...

მან მკლავში ხელი მოკიდა ლევანს და გზადაგზა აუხსნა, რომ ეს ადგილები განთქმულია მინერალუ-რი ნალექების სიუხვით, ხოლო ჭეჭა-ქუხილი აქ გვიან შემოდგომამდე არ წყდებაო. აპოლონი აგრონომი ყოფილა, ლევანის წინამორბედი, ერთი წლის წინათ გამოუგზავნიათ კოლმეურნეობაში, მაგრამ... მ... მ... ვერ ივარგა. პოეტის ვარო, იძახდა. მისი მუხა განსა-კუთრებით ორს წყალობდა: ბებერი ჯადარს და ე... ე... მარტიკას.

— კარგი რა, მამა, რა დროს ეგ არის... — გაისმა მორცხვი ხმა და ელექტრონის სინათლეზე ლე-ვანმა თვალი ჰკიდა უშუქურა თვალბეჭიან ფერტი-რალ სახეს, სველი კულალები რომ დაჰყროდა ირგ-ვლივ. რატომღაც არ ესაიმოვნა ის აპოლონი ლექ-სებს რომ უწერდა ამ უცნოდ გოგონას.

საწერებსთან ხალხს მოუყარა თავი.

ბებერი ჯადარი ვეება ტოტებით საწერებს ჩამო-სწოლოდა და მინით დახურული სახურავი ჩაიღებოდა.

მებს ცეცხლი გაეჩინა ხისათვის. ხშირი ტოტბეში ნაკვერცხალი ბუტავდა. მარჯვე ბიჭები ჯადარზე ამძვარალებდნენ. ელექტროგაყვანილობა დაწყებული-ყო და ხელის ნათურების შუქზე აღმინებები და ლან-დები ერთმანეთში ირთოდნენ.

პარტორგთან ტანმორჩილი მოხუცი მივიდა. თავით ფენებამდე გრძელ საწვიმარში იყო გახვეული. წამ-წვეტილებული ცხვირზე წვიმა ასხამდა და მკერდზე და-ფენილ გრძელ წვერებზე წურწურით ჩამოსდიოდა.


— ტანი მიგრძობდა, ეს გაუთავებელი ჭეჭა-ქუ-ხილი უზარალოდ არ ჩავივის-მეთქი და ამა, — ავისრულდა ყოველივე კარგი — ბუტბუტებად მო-ხუცი. ლევანი დაინახა და უმისამართოდ იკითხა — ეს ახალგაზრდა ვერ ვიცანი... აგრონომიო, რომ გაიყო, კიდეც წაიბუტბუტა:

— ტანი მიგრძობდა მე... — შებრუნდა და სა-წერებში მიიმაღა.

— მაგ მოხუცზე უკეთესი მენერგე მთელს რაი-ონში არა — უთხრა დავითმა ლევანს — სანდრო ბიძიამ კოპიტი რომ დამყვნას, მანდარინს მოასხმე-ვინებო, მაგაზე ამბობენ.

— ე, ბიჭო, ფრთხილად, კიდეც არაფერი დაარტ-ყა სახურავს. — ისმოდა საღდაც ახლოს თავ-მჯდომარის ხმა. პარტორგი იქით გაემართა.

ლევანი საწერებში შევიდა. კედლებზე ხელის ნათურები ჩამოეკიდა. ნაყარი მიწისა და სახუქის სუნი ეცა. რამდენიმე მწკრივად ჩაყოლებული ნერ-გები ჯადარის ტოტებს დიდ მანძილზე ჩაებურა. წვიმა ჩამოლიოდა და მიწა აეტლახებინა. ბიძია



სანდრო ფრთხილად ჩეხდა ტოტებს. ლევანმა მიიხედ-მოიხედა, წალდი იპოვნა და მოხუცთან ერთად მუშაობას შეუდგა. ტოტები გადმოაწყვეს, წვრილად აჩეხეს და ერთად დალაგეს. ნამყენები მიწაზე წაწოლილიყო. ზოგი მათგანი მთლიანად დალიწილიყო, ზოგს ფშანი მოძრობოდა, ზოგიც სულ არ დაზიანებულია. მოხუცმა ნერგები გასინჯა და ლევანს მიმართა:

— ზარალი არც ისე დიდია, რომ გვეგონა. — ფარდულის ბოლოში წვაიდა. ფშანები, რამდენიმე დანა და ერთად დახვეული ჩვრის თასებში მოიტანა. დაიხარა, ნერგი შეარჩია, დანით ნაჭდევი გაუკეთა და კვირტი მიამყნა. ზედ ჩვარი შემოახვიდა, ძირში მიწა შემოუჩიჩქნა. ერთხელ კიდევ შეათვალიერა ნამყენი. ახლა მეორე შეარჩია მერე მესამე, მეოთხე... ლევანი გაოცებით აღევნებდა თვალს მოხუცის ხელებს. ხელები მუშაობდნენ სწრაფად, შეუტეხლად, გამოწოვიდა. ლევანმა გაუბედავად აიღო ერთი ფშანი, ნერგი შეარჩია და ნაჭდევი გაუკეთა. „აღბათ, ასე გრძნობს თავს ქირურგი პირველი ოპერაციის დროს“ — გაუფლავა. მყნობაში ახალბედა არ იყო, მაგრამ ახლა... ამ მოხუცის გვერდით... მუშაობდა ჩუმად, თავაუღებლად. არ ახსოვდა რა დრო გავიდა. გრძნობდა მხოლოდ თავისი ხელების მოძრაობას. ჩვარი აიღო და ის იყო ნამყენზე უნდა შემოეხვიდა, რომ ვრაცის ნაწი ხელი იგრძნო. თბელი, სწრაფთივებიანი ხელები ფრთხილად ახვედნენ ჩვარს მის მიერ დამყნებულ ნერგს. ლევანმა თავი აიღო და სულ ახლოს ლამაზი, ფართო თვალებიანი სახე დაინახა... იმავე წუთში მარიკა უკვე მოხუცის ნერგთან იყო.

— გიგოლა, — ისმოდა გარედან თავმჯდომარის ხმა — ბიჭები წაიყვანე და საწყობიდან ფანერები მოიტანე. ამაღამ იმით დაეხურათ... — გოგონა კვლავ ლევანის ნამყენებს ახვედა. — დიდხანს დარჩებით ჩვენში? — იკითხა მარიკამ. ლევანმა მხრები აიჩიჩა და ნერგზე დაიხარა.

— თქვენ ასეთი ახალგაზრდა ხართ და უკვე აგრონომი. მე კი... — ისევ მოესმა. ლევანი წელში გაიმართა და გოგონას პირდაპირ შეხედა.

— რომელ კლასში ხარ? — მეთერთმეტეში. იცით, მეც აგრონომიულზე მინდა შესვლა. — გარჯდნენ. ახლა ლევანმა მიმართა. — აი, სანამ თქვენ აგრონომიულს დაამთავრებთ, მეც მანამ დავრჩები. — ფარდულში თავმჯდომარე და პარტორგი შემოვიდნენ.

— აბა, როგორაა საქმე? — დაიგუგუნა თავმჯდომარე



რემ და ნერგებს გადახედა. მოხუცი მწკრივებს შორის დადიოდა და ლევანის ნამყენებს ათვალიერებდა.

— მარჯვე ხელი ჰქონია — თქვა ბოლოს. ლევანს გულზე მოეშვა.

— ტანი მიგრძნობდა მე... — რაღაც წაილაპარაკა მოხუცმა და კარებში მიიშალა. — ასე... — გააგრძელა რატომღაც თავმჯდომარემ და ლევანს შეხედა — თქვენ ამაღამ ბრინჯაუნზე წყლი უნდა ჩაიყვანოთ, ვაზო... — გააწყვეტირა პარტორგი — მაგაზე მე ვიზრუნებ.. ჩემთან წამოვა, თავისუფალი ოთახი მაქვს.

— ასე... — კვლავ თქვა თავმჯდომარემ და ფარდულიდან გავიდა.

წვიმას გადაეღო. პირველი მამლები ჰყოლდნენ კანტიკუნტად. ჩუმად მიიბიჯებდნენ.

ქნელაძის სახლი სერზე იდგა. ფანჯრებში სინათლე მოჩანდა. ჭიშკარი შეადგეს.

დავითი ქვრივი ყოფილა, მაგრამ სახლს უდიასახლისობა არ ეტყობოდა. ყველაზე ქალიშვილიური სისუფთავე, საოცარი წესრიგი და მყუდროება. ლევანს თვალწინ გაუფლავა ნაწი, თერთიითებიანმა ხელმა... ვახშამზე უარი თქვა და როდესაც ლოგინში გაეხვია, მხოლოდ მაშინ იგრძნო მთელი დღის დაღლილობა.

დილით ადრე გამოეღვიძა.

წვიმის შემდეგ ბუნებას პირი დაეხანა ცხრათვალა მზით. მზე იყო ყველგან: პატარა გორაკებზე, ჩაფენილ მინდვრებზე და ცამდე აყუდებულ აქარა-გურისის მთებზე.

მზე ციმციმებდა მალალი ოდების ფანჯრებში. ლევანი ხარბად ისუნთქავდა მზით და მიწის სურნელებით გაუფლავებულ ჰაერს.

მინდვრები, მინდვრები, მინდვრები... დახლა დაეშვა. ჭიშკართან მოიხედა: სერზე გამოღვამულ ოდას თვალებით გაეხილა ღია ფანჯრები. იქაც მზე იყო.

იმ ოთახის ფანჯარასთან, ღამე რომ გაათია, მარიკა იდგა და ქოთნით ყვავილებს დგამდა.

# 182.000

## ზონიკა

თბილისის მეფრინველეობის საინკუბაციო სადგური უკვე მთელი დატვირთვით მუშაობს. მიმდინარე წელს მან უნდა მისცეს გარეუბნის, გარდაბნისა და ილიანთის რაიონის მეფრინველეობის ფერმებს 85.000 ჯიშაინი წიწილა (ქათმის, ინდაურის, ბატისა და იხვის).

ამას გარდა 45.000 წიწილს მიიღებენ პირად სარგებლობისათვის კოლმეურნეები, 22.000 წიწილს კი თბილისის მშრომლები შეიძენენ.


თბილისის მეფრინველეობის საინკუბაციო სადგურში დღას ორი მძლავრა ინკუბატორი „რეკორდი 39“, რომელიც ყოველ სამ დღეში ჩეკავს 9.000 წიწილს. საინკუბაციო სადგურის ხშირი სტუმრებია თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუ-

შები. უკვე მრავალი ასეული წიწილა შეიძინეს მაუდკამეოლის კომბინატის, ტრიკოტაჟის კომბინატის, სკოლის სახელობის ორთ ლბავალ-ვაგონმემკეთებელ ქარხნისა და სხვა საწარმოების მუშა-მოსამსახურებმა.

სადგურს ჰყავს შვიდი გამოცდილი ზოოტექნიკოსი; თვითელი მათგანი ხელმძღვანელობს სულ საკოლმეურნეო მეფრინველეობის ფერმას. მათი მეთვალყურეობით ტარდება სადგომების გათბობა, იდგმება ავტომატური წყლის სასმელო და საკვები დანადგარები და სხვ. ამავე დროს ზოოტექნიკოსები ატარებენ მეფრინველ კოლმეურნეების ინსტრუქტაჟს ფრინველთა უკეთ მოვლისა და ზოოტექნიკურ ნორმებით მათი კვების შესახებ. თბილისის მეფრინველეობის საინკუბაციო სადგური მომსახურებას უწევს ზოოპარკსაც; სადგურის ინკუბატორებში გამოიჩეკა იხვები, ციცრები, ფარშავანგები.

მიმდინარე წელს ზოოპარკმა სადგურს ჩააბარა სირაქლემის ოთხი კვერცხი. სედილის გამო კვერცხები საინკუბაციო ყუთებში არ მოთავსდებოდა. სადგურის მექანიკოსებმა მათთვის გააკეთეს სპეციალური ყუთი და ჩამოკიდეს ინკუბატორის ჭერზე. ასე რომ მათის ბოლოს თბილისის ზოოპარკს ეყოლება სირაქლემის წიწილები (სირაქლემის კვერცხის ინკუბაცია 51 დღეს მიმდინარეობს, მაშინ როცა ქათმის კვერცხს სჭირდება 21 დღე).

სექტემბრის პლენუმის ისტორიულ დადგენილებას საპასუხოდ თბილისის მეფრინველეობის საინკუბაციო სადგურის კოლექტივმა აიღო ვალდებულება მიმდინარე სეზონში (ივლისამდე) გეგმის ზევით მისცეს ქვეყანას 30.000 ფრთა წიწილა.



# მამაცთა სარბიელზე

ავტ. ბაჩჩილაძე

დაიწყო მხნე, მამაცი, თავის სპეციალობას დაუფლებული ახალგაზრდების, თმა-შევერცხლილი ოსტატების შემოქმედების ჩვენება. მაყურებლის წინ ერთმანეთს ცვლის საცირკო ხელოვნების ყველა სახეობა — ჟონგლიორობა თუ ეკვილიბრისტიკა, მუსიკალური ექსცენტრიკადა თუ ბუფონადური კლოუნადა, აკრობატიკა თუ ძალოსნობა...

სარბიელზე გამოდიან ორგანალური ჯანრის მსახიობები, ერთმანეთს ცვლიან დიდი შრომით შექმნილი, მეტად საინტერესო ატრაქციონები...

წელს თბილისელ მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა დასწრებოდა რამდენიმე ახალ საცირკო წარმოდგენას, რომლებშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა საცირკო ხელოვნების გამოჩენილი ოსტატები. და ახლა, როდესაც მიმდინარე წლის საცირკო სეზონი დამთავრდა და თბილისში საგასტროლოდ ჩამოსული მსახიობები ჩვენს სამშობლოს სხვადასხვა ქალაქის საზაფხულო ცირკებში გაემგზავრენ, გვინდა მოვავალოთ ჩვენს მაყურებელს თბილისის ცირკის თაღქვეშ გამართული სანახაობებით მიღებული შთაბეჭდილება.

## მისამე ზარის შემდეგ


მოსკოვის საცირკო ხელოვნების სასწავლებელში — მომავალ მსახიობებს არა ერთხელ მოუსმენიათ ცირკის ძველი ოსტატის, მსახიობი — ზუზარას ვიტალი ლაზარენკოს მოგონება თავისი სწავლის წლებზე.

ზუზარაში სიარული, ცხენების მოვლა, თავისი დასუფთავება, ნახერხის მოსწორება ცირკის სარბიელზე, — აი რას მოითხოვდა ანტრეპრენიორი მისგან. მხოლოდ მაშინ იწყებდა ლაზარენკო მეცადინეობას, როდესაც შავ სამუშაოს მორიგობოდა და ცირკის სარბიელზე დაკარიელდებოდა. სამუდამოდ დაამახსოვრდა ნახევრად ჩაბნელებული სარბიელი, მწვრთნელის გრძელი მათრახი და დამღლევი ვარჯიში ცხენზე. ვინ იცის, რამდენჯერ მოხვედრია ზურგზე მათრახი, როდესაც მთელი დღის განმავლობაში შრომით დაღლილს უკვე აღარ შეეძლო ცხენზე სხვადასხვა რთული ილეთის შესრულება.

შორეულ წარსულს ჩაბარდა ძველი მსახიობის ეს მწარე მოგონება. საცირკო ხელოვნების ახალგაზრდა ოსტატები, რომლებიც ახლა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ცირკში თავიანთ ოსტატობას უჩვენებენ საბჭოთა მაყურებელს, სულ სხვაგვარ პირობებში სწავლობდნენ. მოსკოვის საცირკო ხელოვნების სასწავლებელში, რომელიც მთელ მსოფლიოში ერთადერთია, მზრუნველობით ზრდიან ახალგაზრდებს. ამაზე ნათლად მეტყველებს საცირკო სასწავლებლის კურსდამთავრებულების ანხელ ერეკარიოს, ირინა ლუმბოვას, ვალერია ვოლოკოვას, გალინა ადასკინას, ნინა ვლასოვას და სხვათა შესანიშნავი ოსტატობა, რაც მათ მიმდინარე წლის სეზონში თბილისელ მაყურებელს უჩვენეს.

ანხელ ერეკარიო ათი წლის იყო, როდესაც სხვა ესპანელ ბავშვებთან ერთად მოსკოვს ჩამოიყვანეს. მისი მშობლები ფამისტურ ესპანეთში დარჩნენ. საბჭოთა ადამიანებმა გაუწიეს პატარა ანხელს მშობლების მაგივრობა, აღზარდეს, ასწავლეს და საცირკო ხელოვნების ოსტატი გამოიყვანეს.

ცირკში ყველაფერი შეიძლება, აქ არიან ნასწავლი ცხენები, რომლებიც ცეკვავენ და იცინიან კიდეც; გაწვრთნილი ძაღლები, რომელთაც უთუოდ ყოველივეს



ეროვნული გიგლიორთიკა

მართალია ქალაქში ვერ — განავარდნებს თავისი მოტოციკლით — იმ წუთშივე ჩამოართმევენ «ტარების უფლებას», მაგრამ ცირკის სარბიელზე «მაქსი» დაუბრკოლებლად დასეირნობს — ორი ბორბალი ოთხ ფეხზე უფრო ჩქარი ყოვილა.

გაკეთებინებ, რასაც კი მოისურვებ, მფრინავი ადამიანები, ჰაერში გაჭიმულ მაგ-თულზე მოსიარულე ჯამბაზები და ვინ თოვლის კიდეც რამდენი...

ცირკში კაუჩუკის ქალსაც ნახავთ. ეს არი ცხრამეტი წლის ევგენია სტრანაია, რომელმაც ორი წლის წინათ დაამთავრა საშუალო სკოლა. ევგენია სულ პატარა იყო, როდესაც აკრობატიკას მიჰყო ხელი. რამდენიმე წლის გულმოდგინე მუშაობის შედეგად იგი ისე გაიწაფა, რომ თავისუფლად შეეძლო ნებისმიერი მდგომარეობა მიეცა სხეულისათვის.

ახლა, როდესაც უყურებთ ევგენია სტრანაიას გამოსვლას, განცვიფრებულად რჩებით როგორი დამაბული მუშაობა იყო საჭირო, რომ სხეულისათვის ასეთი მოქნილობა, ელასტიკურობა მიეცა. შესცქერით ახალგაზრდა მსახიობის ოსტატობას და არ შეიძლება არ წამოგცდეთ:

— მართლაც კაუჩუკისა ყოვილა!

## სეაშოკი-გიპანგი

ატრაქციონი, რომელშიც თბილისელმა მაყურებელმა წელს დები კოხები ნახა. მომზადებულია საცირკო ხელოვნების ძველი ოსტატის ბორესლავ კუზნარშ-კონის ხელმძღვანელობით. თავისი ღირძის გარშემო მზრუნავ სემაფორულ ბორბალზე მსახიობები მართა. ზოია და კლარა კოხები თავისუფლად, ყოველგვარი დაძაბვისა და მღელვარების გარეშე ასრულებენ რთულ ბალანსირებას. საბჭოთა საცირკო ხელოვნების ბრწყინვალე გამარჯვებაა ცირკის თალის ქვეშ მზრუნავ სემაფორულ ბორბალზე დების მართა და კლარა კოხების მიერ შესრულებული ურ-

— ახლაც მოვახსენებ მაყურებლებს რა დიდი მოჭადრაკეც ბრძანდები! (ცირკის მსახიობები შესვენების დროს.)



ცირკის ვეტერანმა — კლოუნმა პ. ლავროვმა «გამარავალა» სანადირო ობიექტები — იგი ფეხაკრფლით ეპარება ბუჩქებში «განაბულ» ჩემოდანს.



თულესი ნომერი — „თავი თავზე“, ხოლო ზოია კოსის მიერ უბალანსოდ ფეხის ცერებზე გაველა მზრუნავ ბორბალზე სიმახაცისა და ბრწყინვალე ოსტატობის ნიმუშია. ყოველივე ამას ამშვენებს მსახიობის ტკბილი, სასიამოვნო სიმღერა, რომელიც ერთხელ კიდევ ხაუს უსვამს მის პროფესიულ მრავალფეროვნებას.

### მისამე განყოფილება — „ღარიკის ჩინიგზა“

ვიდრე თავიანთ ადგილებს დაიკავებდნენ მაცურებლები, ჯერ სარბიელს ათვალიერებენ, სადაც პატარა სარკინიგზო „მაგისტრალი“ და ლამაზიონებით გაჩირად-ღნებული რკინიგზის სადგურია... ყველაფერი წესიერადაა როგორც ნამდვილ რკინიგზაზე: სემაფორი ღიაა, შლაგბაუმი დაშვებულია, მატარებლის გამოსვლის ზარიც მისცეს და ახლა ყველა მატარებლის გამოჩენის მილოდინშია.

„ღარიკის რკინიგზა“ — ასე ეწოდება ამ მხიარულ და გონებამასხვილურ სანახაობას, რომელშიც მონაწილეობენ რესპუბლიკის სახალხო არტისტის — ღურიოვი მიერ საუცხოოდ გაწვრთნილი გარეული და შინაური ცხოველები. მგზავრებით დატვირთულმა პატარა მატარებელმა, ორჯერ შემოუარა გარს სარბიელს, სვლას უკლო და „ღურიკის“ სადგურზე შეჩერდა, გაიღო ერთ-ერთი ვაგონის კარი და დინჯად გადმოზარდადნენ პირველი მგზავრები — ბატიმგილები (ესენი ბატების შთამომავალნი არიან), მათ მოჰყვნენ კრუხაშვილები (ქათმების ოჯახის წევრები), იხვამები (იხვთა ოჯახის წარმომადგენლები) და სხვები და სხვები...

ვაგონები დაცარიელდა. სადგურის უფროსმა — წერომ და უფროსმა კონტროლიორმა — თუთიყუშმა „მოითათბირეს“ და „გასცეს განკარგულება“ — დაწყებულ იყო ვაგონებში მგზავრთა ჩასხდომა. სადგურის რადიოკვანძიდან მოისმა სათანადო განკარგულება, და პატანზე გამოჩნდნენ ახალი მგზავრები: წვეი, ლამაზი მელიები, პატარა გოჭები, შურთხი და სხვები.

მატარებლის გასვლის დრო ახლოვდება... გამოჩნდნენ დაგვიანებული მგზავრები: ზღვის გოჭები, რომლებიც ელვისეაური სისწრაფით შორბიან ბაქანზე, ერთ-მანეთს ასწრებენ ვაგონში ჩასხდომას. ყველა მოთავსდა, მაგრამ ერთი გოჭი ძლივს მობაჯრავებს... ის თურმე ავად გამხდარა. მაშინვე სასწრაფო დახმარებას გამოუძახეს, ზღვის გოჭი შიგ ჩასცეს და სასწრაფო დახმარების კარკატა — კვლავ სწრაფად გაუჩინარდა...


სადგურის მორიგემ, დინჯმა პონიმ, მატარებლის გასვლის ზარი მისცა. გაისმა სატვიტის ხმა და მგზავრებით დატვირთული პატარა მატარებელი ნელა დიძრა ადგილიდან.

მაცურებლებმა მსურველე ოვაციებით გააცილეს ღურიოვის ჭკვიანი ცხოველები თავიანთი სამყოფელისაკენ.

მაცურებლებს დიდხანს არ დაავიწყდებათ ეს საინტერესო საცირკო სანახაობა, რომელშიც ღურიოვი გაწვრთნილი ცხოველების გარდა მონაწილეობენ საბჭოთა საცირკო ხელოვნების ოსტატები — შაერში მოვარჯიშენი ანა და პეტრე ბალანდინი. ცხრა წლის აკრობატი გოგონა ვალოჩკა ზაიცევა და სხვანი.

მაცურებლები კმაყოფილების არძობით ტოვებენ ცირკს: მათი ცნობისმოყვარობა დაკმაყოფილებულია. მრავალმეტყველი აფიშები და ფერადი რეკლამები მათ ატყობინებდათ ეკვილიბრისტის ვ. სერბინას, მრავალფეროვანი საცირკო ატრაქციონის — „დათვთა ცირკის“ (ვ. ფილატოვის ხელმძღვანელობით), რეინულ ბორბლებზე მოვარჯიშე მსახიობების ბალანკინების, „ფეხბურთელი ძაღლების“ (მწვრთნელი ვიქტორია ოლზევიკოვა), უზაკი მოჯირითეების, დაღესტნელი ჯამბაზების და სხვათა ბრწყინვალე ოსტატობას, რომელიც ასე შესანიშნავად გამართლდა: მაცურებლებმა იხილეს ლამაზი, მოხდენილი საცირკო სანახაობა, ჩვენი მამაცი და სიცოცხლის ხალისით აღსავსე ახალგაზრდების, საცირკო ხელოვნების ძველი წარმომადგენლების ბრწყინვალე ოსტატობა.

შეიძლება ითქვას რომ დები კოხები პაერში უფრო კარგად გრძნობენ თავს, ვიდრე მიწაზე.



### თბილისი — ქივი

იანვრის სუსხიანი დღია იყო. თბილის-ქივის საზღვიმო მოტო-გარიბარტის სტარტის მიკემას რამდენიმე წუთი — და აკლდა, ხოლო გამცილებლებთანგან ბევრი ჯერ კიდევ კოჭმანობდა: — უკეთესი ხომ არ უნებოდა გადარბენა მაისისთვის ვადაკველო და უკრაინელი ხალხისთვის მილოცვა — საჩუქრების გადაცემა? გაზაფხულის თბილ დღეებში ძამხდარიყო... ფიქრობდნენ ისინი. მაგრამ ქართულმა სპორტსმენებმა უარი სთქვეს საგაზაფხულო, ასე ვთქვათ, „კომფორტულურ“ გადარბენაზე, როდესაც უღელტბილების ვიწროებში ორიოდ წიგურების გარდა, მგზავრობა თითქმის მთლიანად მოასფალტებული გზით მოუხდებოდა.

დამოკლებითა გარეშე ასეთი გადაიბინა მათ უხალისოდაც ეჩვენებოდათ, და რაც მთავარია, ყველას ეჩქარებოდა სწორედ რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისთვის ყოფილიყვნენ ქივიში.

გადარბენის საორგანიზაციო კომისიამ ამხანაგების: თ. ჯანელიძის, ნ. მანჯგალაძის, ვ. სალიბეგაშვილის, გ. ფაჩულიას, გ. რცხილაძის, თ. მაჩაბლის და ჩემი შემადგენლობით გულდასმით დაამუშავა გადარბენის მარშრუტი (თუმცა საშინელი ავდრების გამო მინიცი მოვგინდა მისი შეცვლა), შეარჩია უფრო გამძლე და გამოცდილი სპორტსმენები და დილის 10 საათზე მოტო-კოლონა თბილისიდან დაიწყო. ჯერ ნატანტარს არ გაგვიტყობოდათ, რომ ქარბუქმა გზა გადაგვიღო. წინსვლა გაძნელდა... და ეს სტარტიდან სულ რაღაც მ-ე კილომეტრზე. წინ კი ათასეული კილომეტრები გვქონდა გასავლელი. ქარბუქის მიუხედავად გადარბენის პირველი ეტაპი თბილისის სურამი დროულად გავრბინეთ. სურამში გვირგვინით შევამკეთ გამოჩენილი უკრაინელი მწერალი ქალის — ლესია უკრაინკას მონუმენტი და მისი სახელობის სახლ-მუზეუმში სამახსოვრო ვიპეტილი დატოვეთ.

— იმ მხარის ადამიანთა სახელით, სადაც თავისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა ლესია უკრაინკამ, გადავიცეთ გულთბილი მილოცვა უკრაინულ ხალხს, — დავავალეს სურამელებმა.

ქუთაისის ახლოს ჩვენს კოლონას, ხიდის დაზიანების გამო, მდინარეში მოუხდა ვაგლა. დილის ბინდბუნდში ფონი კარგად არ მოჩანდა. მე, როგორც გადარბენის კომანდორს გადასავლელი უნდა მომემდებნა და თუმცა ძენაში მანქანაიანად წელამდე წყალში აღმოჩნდი, კოლონამ ეს დაბრკოლებაც გადალახა და იმავე საღამოს სოხუმში შევედი.

დილით აღმასკომის შენობის წინ მიტინგი გაიმართა. მიტინგზე გამოსულმა

ამხანაგებმა გავთოვეს სოხუმის მშრომელთა სახელითაც გადაგვეცა მილოცვა უკრაინელი ხალხისათვის. ჩვენ სოხუმელებს სამახსოვროდ ვიპეტილი გადავიცეთ და კურსი ტუაფსზე ავიღეთ. ტუაფსეში არასასიამოვნო ამბავიც ვიგეთ. განუწყვეტელ თოვლს შინივლოვის უღელტბილი ჩიექტა და სწორფროსისიკენ გზა აღარ იყო. მე და ამხ. ფაჩულია ქალაქკომის მიღვანს ამხ. კუშმინსკის კაბინეტში დაღონებულები ვისხდით. კუშმინსკიც შეფიქრიადა — რა ვქნათ, გზა არ არის, — გვითხრა მან. ჩვენ არ ვეშვებოდით და ვთხოვეთ მეზობელ სტანიცებში დაერეკათ. აღმოჩნდა რომ ნოვოროსისიკამდე 85 კილომეტრზე მანქანებს გაუვლიათ. ვაგვიხარდა და უმაღლეს მწადად დავიწყეთ.

მაღე ჩვენ მიხაილოვის უღელტბილის აღმართებს შევუდექით. დაკლაქნოლი მისახვევ-მოსახვევების გარდა, სვლას აძნელებდა გაყინული ნიდავა. მაგრამ ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდით რუს მოძქეთა უღელდეს მწარუნ-



ბროლის თასი, რომელიც ქ. ქივიში უკრაინის სპორტსმენებმა გადასცეს თბილის-ქივის გადარბენის მონაწილეებს 1954 წ., 23 იანვარს.

ველობას გადარბენის მონაწილე ქართველი სპორტსმენებისადმი. განსაცდელის უამს ისინი მუდამ მხარში გვიდგნენ და გზის გაუმეინდით თუ მოსახვევში სრეშის მოყრით ხელს გვიწყობდნენ ხალხთა მეგობრობის აღსანიშნავი გადარბენის წარმატებით დამთავრებაში.

ნოვოროსისიკთან მანქანები შემოვვიტყვენ და შეგვიტყვენ ქალაქში, სადაც ჩვენ შესახვედრად მიტინგი გაიმართა. მაღე შევიტყეთ რომ გზაროსტოვზე დკეტილია, ხოლო ტამანქერჩის სრუტით ნაოსნობა შეწყვეტილი... ერთადერთი გამოსასვლელია დაგვრჩენოდა — ფეოდასიაზე თბიმაველით უნდა გავსულიყავით. ამ საქმეში დიდად დაგვეხმარნენ თბომაგალ „ტულემას“ კაბიტანი სტრებლიანსკი და აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ბოგუნი, რომლის მწარუნელობაც თვითოულ ჩვენგანს არასოდეს დაავიწყდება. „ტულემას“ ეკიპაჟს საქართველოს პატარა დროშა ვუსახსოვრეთ და 15 იანვარს ფეოდასიაში გადმოვიტვირთეთ.

ძველი ყირიმი ქარბუქით შეგვხვდა. თოვლი ზვინებდად შეყრილიყო და გაყინული ბორცვების გადალახვა მან-

(დასასრული შემდეგ გვერდზე)

თბილისი, ლენინის ქსახელობის მოედანი. მოტო-გადარბენის სტარტი. ფოტო ვლ. გინზბურგისა





ქანებს მხოლოდ დიდი სიჩქარით, გამოქანებით შეეძლო. გავიარეთ სიმფეროპოლი და ღამის გასათევად ქ. ჯანკოში შევიჩერდით.

იყო დღეები როცა კოლონა 800 კილომეტრს გადიოდა, მაგრამ უამანდობამ საშუალება არ მოგვცა ეს სიჩქარე ბოლომდის შეგვენარჩუნებინა.

დრო კი არ ითმენდა. იქმნებოდა დაგვიანების საშიშროება. მელიტობოლო... პოლტავა... ლუბანა... ეს ქალაქები ჩვენ სწრაფად გავიარეთ და მხოლოდ საწვავის შესავსებად ვჩერდებოდით.

ბევრი ჩვეთაგანისთვის დიდი სამაშულო ომის ბრძოლებით ეს ადგილები ნაცნობი იყო, მაგრამ ასეთი ყინვა აქ არავის ახსოვდა.

უკანასკნელად ქ. ბორისპოლში შევივდეთ და კიევამდე დარჩენილი 40 კილომეტრი სწრაფად გავიარებინეთ. შუა გზაზე კიეველი მოტოციკლისტების და ავტო-მარბიელთა კოლონა შეგვეგება. ისინი უკრაინის დედაქალაქში შეგვიძღვნენ და საწვავით ვითარებაში ხალხით გაქედილი ქუჩები შემოგვატარეს.

ბოგდან ხმელნიცკის მოედანზე ხალხ-

მრავალი მიტინგი გაიმართა, რომელიც ხალხთა მეგობრობის დიდ დღესასწაულად გადაიქცა, ჩვენ უკრაინელ მეგობრებს ქართველი ხალხის სახელით მილოცვა გადავცით და წითელი ხავერდის დროშა ვუსახსოვრეთ, რომელზედაც მისალმების სიტყვები იყო ამოქარგული. თავის მხრივ კიევლებმა ქართველ სპორტსმენებს დიდი ბროლის თასი მოგვიძღვნეს.

კიევში ყოფნისას დავათვალეირეთ ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები და გვირგვინით შევამკეთ ტარას შევჩენკოს და ლესია უკრაინკას ძეგლები.

შორეული და ძნელი გადარბენის მონაწილეებს ყველგან პატივითა და აღტაცებით გვხვდებოდნენ. ახლაც, მაისის მზიან დღეებში, როდესაც ჩვენი ხალხი ზეიმობს უკრაინის რუსეთთან შეერთებას, ჩვენ, გადარბენის მონაწილე სპორტსმენები, ვამაყობთ იმით, რომ პირველებს გვხვდა წილად ბედნიერება — მოძმე ხალხისათვის ეს დიდი დღესასწაული მივცემოცა.

### ვლადიმერ ნავროჯაშვილი გადარბენის კომანდორი

## სასვამო შრიფტი პლასტმასისაგან

თქვენ წინ ხელით ასაწყობი სასტამბო შრიფტია. მისი ასოები, ანუ ლიტერები, როგორც მას პოლიგრაფისტები უწოდებენ, არ გამოირჩევა არც ფერითა და არც ფორმით ჩვეულებრივ შრიფტისაგან. აი ჩვენ ვიღებთ ორ ერთმანეთის მსგავს ასოს და ერთ ხელში ჩვენ ვგრძნობთ ლითონის მძიმე ნაჭერს, მეორეში კი თითქმის უწონად საგანს.

რაშა საქმე? თურმე ერთი ასო ჩამოსხმულია გარტისაგან ე. ი. ტუვიის, კალისა და სურმის შენადნობებისაგან, რომელიც ჩვეულებრივად გამოიყენება სასტამბო შრიფტის წარმოებისათვის, მეორე კი — პლასტმასისაგან.

პლასტმასის შრიფტი დამზადებულია მოსკოვში. ასეთ შრიფტს დიდი უპირატესობა აქვს. იგი ათჯერ მსუბუქია ლითონის შრიფტზე, რის გამოც გადავიღებოდა მისი ტრანსპორტი-

რება და საბეჭდ მანქანაზე გაწყობა. გარდა ამისა პლასტმასის შრიფტის დამზადებისათვის არ არის საჭირო ძვირფასი ფერადი ლითონები და მისი მასიური წარმოება ჯდება 7-8 ჯერ იაფი. ამასთანავე ეს შრიფტი კამოსადეგია 150 ათასი ანაბეჭდისათვის, მაშინ როცა ლითონის შრიფტი ვარგისია მხოლოდ 40.000 ანაბეჭდისათვის.

პლასტმასის შრიფტის (როგორც ტექსტის ისე სათაურებისათვის) დამზადება ხდება ჩვეულებრივ ასოჩამოსხმელ მანქანებზე, რომლებსაც ცოტადღნავ შეიცვლილი აქვთ ზოგერთი კვანძის კონსტრუქცია. სულ მალე სტამბები მიიღებენ პლასტმასისაგან დამზადებულ შრიფტებს.

ამავე დროს მიმდინარეობს ექსპერიმენტული მუშაობა ლინოტიპისათვის პლასტმასის ასოების დასამზადებლად.

## ღერამინის წონა მაგალოს

ზოგიერთ ქვეყნებში არსებობს ასეთი თქმულება: როდესაც ადამიანი დაინახავს ცაზე გაუღებულ „ჩამოვარდნილ“ ვარსკვლავს რამე უნდა ჩაიფიქროს და ნატვრა აუსრულდებოდეს. ბევრისთვის ასეთი ციური ფიგურაჟი ხშირად ემთხვევა ბედნიერად გატარებულ ზაფხულის დღეებს. მაგრამ მხოლოდ ადამიანთა მცირე ჯგუფი იხილავს ამ მოვლენას ყველაზე საინტერესო თვალსაზრისით, მეცნიერული თვალსაზრისით.

პლანეტათაშორისო სივრცეში დაპქირიან ნივთიერებათა ნატეხები, რომლებიც მეტალებსა და ქვას შეიცავენ. ზოგი ამ ნატეხთაგანი ძალზე პატარაა. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც რამდენიმე ტონას იწონიან. ეს მეტეო-

რებია. მეტეორთა უმეტესი ნაწილი მოძრაობს რა დედამიწისაკენ, პაერთან ხახუნის გამო სიკაშკაშემდე ხურდება, იწვის და მტვრად იფანტება.


ეს წვრილი, კოსმიური მტვერი ყოველდღიურად ექვსი ათასი ტონით ზრდის დედამიწის წონას. ე. ი. წელიწადში ორი მილიონი ტონა ემატება ჩვენს პლანეტას. ეს ციფრები დაუჯერებელია, მაგრამ თუ ამ წონას გავანაწილებთ დედამიწის მთელ ფართობზე, გამოვა რომ ერთ კვადრატულ კილომეტრზე საშუალოდ ოთხი კილოგრამი მტვერი ჯდება, ე. ი. ერთ ჰექტარზე — 40 გრამი. ჩვენი პლანეტის ასეთი ზრდა დაწყებულია სამი მილიარდი წლის წინათ.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა 1953 წელს ჩატარა საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების დიდი საერთაშორისო კონკურსი. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ჩეხოსლოვაკიის, არგენტინის, სსრკ-ის, ბულგარეთისა და სხვა სახელმწიფოთა მოჭადრაკეებმა. 55 ჯილოდდან 26 მოიპოვეს საჭადრაკო კომპოზიტორებმა.


ეტიუდების დარგში მესამე პრიზი მიენიჭა ახალგაზრდა ნიჭიერ ქართველ ეტიუდისტს, ექიმ გია ნადარეიშვილს. მისი ნაწარმოები აღსანიშნავია ფიგურების ზედმიწევნით ბუნებრივი განლაგებით. შავების მატერიალური უპირატესობის მიუხედავად, თეთრები აღწევენ მოულოდნელ და ლამაზ ყაიმს.

ვაქვეყნებთ აღნიშნულ ეტიუდს კომენტარით:

**ეტიუდი**  
**8. ნადარეიშვილი**  
III პრიზი ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო კონკურსზე  
1953/54 წ.



თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს.  
1. მფh8—g7...  
თამაშის სხვაგვარი გაგრძელება თეთრებისათვის სწრაფი წაგებით მთავრდება. მაგალითად 1. კf1 ან 1. h7 თამაშის შემთხვევაში შავები უბრალოდ იგებენ 1... მფf8 სვლით.  
1... ა5—a4  
შავები სახვენ მოგების რეალურ გეგმას.  
2. კh3—f1  
და არა 2. h7? რის შემდეგ შავები იგებენ ასე: 2... ეც7+3. მფფ6 ე:h7 4. მფ:h7 ა3 5. კ6 მფე7 6. კ4 f5 7. ე:f მფ6 და შავები იგებენ.  
2... მფე8—e7  
3. h6—h7  
3. კხ5? ეც3 4. კ:ა4 ეგ3 5. მფh6 f5 6. ე:f მფ6 7. კე8 ეh3 8. კე8 მფფ5 და შავები იგებენ.  
3... ეც6—c8  
4. კf1—h5!  
ამ სვლით თეთრები თავიდან იცილებენ ტუგცვანგში (კარგი სვლების უქონლობა) მოხვედრას. თუ 4. კ4? მაშინ ა3 5. კf7 ეხ8! 6. კd5 ეხ1 7. h8ლ ეგ1+ 8. მფh7 ეh1+ 9. მფფ7 ე:h8 10. მფ:h8 f5 და შავები იგებენ.



გარეკანის პირველი გვერდზე: ბოგდან ხმელნიცკის ძეგლი კიევში.  
ფერადი ფოტო ფ. ლუკაშინა.  
მეთოხე გვერდზე: ტარას შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ოპერა „ბოგდან ხმელნიცკი“. ბოგდან ხმელნიცკი—სსრკ კავშირის სახალხო არტისტი მ. გრიშოვ, რუსეთის ელჩი—არტისტი გ. გალკინი. ფერადი ფოტო ი. ტაბოროვსკისა.  
გარეკანი დაბეჭდილია ზარია ვოსტოკას სტამბის ოფსეტ-მანქანაზე.

რედაქტორი — გრ. აბაშიძე  
სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გვიგინიშვილი, დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ქელიძე, უ. ჯაფარიძე.  
ნომერი გააფორმა ალ. ბანძელაძემ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენხანოვის პრ., № 91. ტელ. 3-95-38 | უახი 3 მან. | გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოციკლოგრაფიაში.  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/V-54 წ. გამომც. № 64 ქალ. ზომა 70x108/8. ნაბეჭდი ფურც. 3 1/2 ტირაჟი — 15.000 შეკვეთის № 287 უფ 02591

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дროшა“ (на грузинском языке)

ილინოისის  
ბიბლიოთეკა

ფოტო ვ. სინკვისა

კიევი. კურორტი „ბუშინა-ვოდოცას“ ტბაზე.



*Handwritten signature or number in purple ink.*



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

